ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ცხინვალი ახალგორთან საბაჟო პუნქტს ხსნის




გვ.3

აფხაზებმა თავიანთი წარმომადგენლობა 21 ქვეყანაში გახსნეს

31 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი II



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

შაბათი – კვირა, 4 – 5 ნოემბერი, 2017

№261 (7496)

ფასი: 50 თეთრი

# უსუფაშვილს მოქალაქე ივანიშვილის იმედი აქვს

## საპრეზიდენტო მარათონი იწყება



გვ.3

## ერევანში ჯავახეთში სომხეთის საკონსულოს გახსნას ითხოვენ



გვ.3

## რაზე ისაუბრებენ ტრამპი და პუტინი ვიეტნამში



გვ.5

## თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილი უკრაინაში ახალი მაიდნის მოწყობას ცდილობს“



გვ.2

### სამართალი

გვ.7

ჭაჭის უაქციზოდ რეალიზაციისთვის ერთი პირი დააკავეს






„შსს-ს ჟურნალისტმა მკითხა, ილებდა თუ არა პავლიაშვილი ფსიქოტროპულ მედიკამენტებს, ვუპასუხე, კი-მეთქი“



გიორგი სოზაშვილი: „ჩემი ბიზნესი შსს-ს მაღალჩინოსანმა, სოსო სიგუამ მიითვისა“

### ეკონომიკა

გვ.6




საარსებო მინიმუმი დღევანდელზე ორჯერ მეტი მაინც უნდა იყოს

პირველი მატარებელი ბაქოდან თბილისის გავლით ყარსში 40 საათში ჩავიდა





2019-2020 წლებში პენსია 20-20 ლარით გაიზრდება

ირინა მილორავა: „ერთი თვის ლარის კურსი დენის ტარიფზე გავლენას ვერ მოახდენს“



ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 „გერმანიაში ბიზნესის კეთება ადვილი არ არის, აქ საქართველოსგან განსხვავებით უფრო მეტი ბიუროკრატია“

4 „ბებერსაც უნდა ჭამა, სმა და არსებობა“

2 მედიკამენტები, საწვავი, საკვები, გაზი, დენი — ფასები 6.4%-ით გაიზარდა

5 ბაზარზე ქართული ხიზილალა დეკემბრის ბოლოდან გაიყიდება

# თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილი უკრაინაში ახალი მაიდნის მოწყობას ცდილობს“



ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მეგის ქარდავასა და მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ექსტრადირების საკითხზე საუბრობს.**

***— ბატონო თორნიკე, უკრაინაში დაკავებული მეგის ქარდავას უკრაინელი ადვოკატი აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, ქარდავამ უკრაინას პოლიტიკური თავშესაფარი მოსთხოვოს. შეიძლება მართლაც მისცეს უკრაინამ მეგის ქარდავას პოლიტიკური თავშესაფარი?***

— წესით, არ უნდა მისცეს. მე სამართლებრივ შეფასებებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, შემიძლია გითხრათ, რომ პოლიტიკურად არ აწყობს უკრაინას ეს ნაბიჯი. უკრაინის მთავრობას საქართველოს მთავრობასთან კარგი, მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობა აქვს, შესაბამისად, არ მგონია, რომ უკრაინამ ახლა საქართველოში ვინმეს პოლიტიკური დევნა აღიაროს და მეგის ქარდავას პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს.

***— მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ექსტრადირების პროცედურა მის წინააღმდეგ უკვე დაიწყო უკრაინამ. სააკაშვილმა სასამართლოში უჩივლა პოროშენკოს მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში რამდენად არის მოსალოდნელი სააკაშვილის გადმოცემა?***

— ვერ გეტყვით, რამდენად თავისუფალია უკრაინაში სასამართლო და რამდენად სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ უკრაინაში უფრო თავისუფალია სასამართლო, ვიდრე ჩვენთან. მიუხედავად ამისა, მაინც მიჭირს პროგნოზი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, იმდენად რთული და არასტაბილური, არაპროგნოზირებადი ვითარებაა დღეს უკრაინაში.

აშკარაა, რომ სააკაშვილი უკრაინაში ახალი მაიდნის მოწყობას ცდილობს. თუ „მაიდანი“ მოაწყო, მერე ვინ გაასამართლებს.

***— რამდენად შეძლებს?***

— განვითარებულ მოვლენებს რომ ვაკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სააკაშვილი გაიჭედა. თუმცა, ის არაპროგნოზირებადი პოლიტიკოსია და შეიძლება უცებ ყველაფერი გამოუვიდეს. რთულია წინასწარ განსაზღვრო, რა აქვს ჩაფიქრებული და როგორ იმოქმედებს შემდეგ. თუმცა, დღეის გადასახედიდან თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, სააკაშვილი ვერ შეძლებს უკრაინაში ახალი მაიდნის მოწყობას, მაგრამ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

***— სააკაშვილს, როდესაც „ვარდების რევოლუციას“ იწყებდა, დასაყრდენი ჰქონდა ხალხში და სისტემაც უკვე მორყეული იყო. „შევარდნაძის ძირგამომპალი სისტემა“ — ეს ფრაზა კარგად მახსოვს. უკრაინაში თუ აქვს სააკაშვილს დასაყრდენი ხალხში, ოპოზიციაში?***

— რასაკვირველია „ვარდების რევოლუციის“ შესაძლებლობა საქართველოში უფრო იყო, ვიდრე დღეს უკრაინაში არის ამის შესაძლებლობა. საქართველოში მთელი პოლიტიკური სპექტრი, გარდა ერთი-ორი პარტიისა, შევარდნაძის წინააღმდეგ იყო გაერთიანებული. უკრაინაში კი არის პოლიტიკური კრიზისი, მაგრამ ასეთი სურათი არ გვაქვს, რომ ყველა პოროშენკოს წინააღმდეგ იყოს გაერთიანებული.

შევარდნაძის დროს ხალხი გაცილებით უარესად ცხოვრობდა საქართველოში, ვიდრე უკრაინაში ცხოვრობს დღეს, ამასაც აქვს მნიშვნელობა. პოლიტიკაში იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, უმრავლესობა არის თუ არა შენს მხარეს, პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს, ხალხის ნაწილი მაინც მოტივირებული იყოს, დარაზმული იყოს და ფინანსები გქონდეს. ეს ყველაფერი თუ აქვს, თუ ხალხი არის მოტივირებული, თუ ფული აქვს, მაშინ შეიძლება რაღაცას მიაღწიოს.

***— უკრაინაში საზოგადოება თითქოს ასე ჩანს, რომ ორად არის გაყოფილი, ნაწილი ამბობს, ჩვენი მხსნელიაო, ნაწილი კი ამბობს, რომ ავანტიურისტია.***

— უკრაინაში ხალხი ორად კი არა ოთხ-ხუთად არის გაყოფილი. ალბათ უფრო მოსახლეობის მეხუთედი უჭერს მხარს სააკაშვილს. ბევრს მოსწონს, ბევრი ფიქრობს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მაგრამ ბევრი მასში ალტერნატივას ვერ ხედავს. ასეთი სიტუაციაა.

***— დრო სააკაშვილის საწინააღმდეგოდ მუშაობს თუ პირიქით?***

— დრო სააკაშვილის საწინააღმდეგოდ მუშაობს, მას რამდენიმე კვირა აქვს დარჩენილი, რამდენი ხანი უნდა იყოს ხალხი ქუჩაში?!

***— რამდენად ადეკვატურია პოროშენკო ამ სიტუაციაში?***

— ჯერჯერობით ადეკვატურია. არ ცდილობს, რომ სიტუაცია გაამწვავოს, იცის, რომ ეს მას არ აწყობს. თუ გაამწვავებს, იცის, რაღაცა მოხდება. თუ პოროშენკო სააკაშვილის ექსტრადირებას შეეცდება, მაშინ ყველაფერი აერ-დაერევა, ეს პოროშენკომ იცის. ერთი სისულელე ჩაიდინა, როდესაც მოქალაქეობა ჩამოართვა, ახლა მეორე სისულელეს თუ ჩაიდენს, ამით შეიძლება პროცესების ესკალირება გამოიწვიოს.

# მედიკამენტები, საწვავი, საკვები, გაზი, დენი — ფასები 6.4%-ით გაიზარდა




„ევროპული საქართველოს“ ერთ ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ფასების ზრდაზე საუბრობს და „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე საქსტატის მონაცემებს აქვეყნებს:

— საქსტატის ინფორმაციით, 2017 წლის ოქტომბერში, წინა წლის ოქტომბერთან შედარებით, ფასების ზრდამ 6.4% შეადგინა, რაც მძიმედ აისახება მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ფასების საგრძნობი ზრდა ფიქსირდება პრაქტიკულად ყველაფერზე, რასაც სასურსათო მაღაზიაში ჩვენი მოქალაქეები ყიდულობენ. ფასების საგრძნობი ზრდაა მედიკამენტებზე და, ზოგადად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში — 5.8%. განსაკუთრებით დიდია ფასების წლიური ზრდა ტრანსპორტის ჯგუფში – 14.7%, რაც „ქართული ოცნების“ მიერ საწვავზე აქციზის მატების პირდაპირი შედეგია და რაც ჯაჭვურად გადაეცა საკვებ პროდუქტებსაც.

გაზის ტარიფის 11-12-13-თეთრიანი (ზოგან 16-16 თეთრითაც კი) გაზრდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების დიდ ნაწილში კიდევ უფრო გაუძვირებს ცხოვრებას ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობას. მათ მეტი საფასურის გადახდა მოუწევთ არა მხოლოდ ბუნებრივ აირში, არამედ გაძვირებულ პროდუქტშიც, რადგან გაზის ტარიფის ზრდა დამატებითი ბიძგია ინფლაციისთვის. სამწუხაროდ, წლის ბოლოს მოსალოდნელია დენის ტარიფის ზრდაც, — წერს ჭიაბერაშვილი.

# სააკაშვილმა მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ პოროშენკოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა



მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ პეტრო პოროშენკოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. მისი თქმით, უკრაინის უზენაესმა ადმინისტრატიულმა სასამართლომ სარჩელის განხილვა 22 ნოემბრისთვის ჩანიშნა.

— როგორც იქნა, ბიუროკრატიულ და კლეპტოკრატიულ რეჟიმთან სამთვიანი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ შევძელით ჩემი მოქალაქეობის ჩამორთმევის დოკუმენტის მიღება და პრეზიდენტის უკანონო განკარგულების გასაჩივრებაზე სარჩელის შეტანა, — წერს სააკაშვილი „ფეისბუქზე“.

# ირმა ნადირაშვილი: „მთავრობას რამდენი ხანი გექნებათ თავი სირაქლემასავით ქვიშაში ჩაყოფილი“



— რამდენი ხანი გექნებათ სირაქლემასავით თავი ჩაყოფილი ქვიშაში, სანამ ერთი დოლარი ერთი დიდი ბლუჯა ლარი არ გახდება? — აღნიშნული კითხვით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უმცირესობის წევრმა ირმა ნადირაშვილმა ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს მიმართა.

— აკაკი ზოიძემ დაგვამშვიდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. შეიძლება ყველაფერი მართლა ძალიან კარგად იყოს, მაგალითად, შალვა ხუციშვილისთვის — ის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა და 150.000 ლარი აქვს შემოსავალი.

ყველაფერიძალიან კარგად შეიძლება იყოს დავით საგანელიძისთვის, რომლის თვიური შემოსავალი 33.000 ლარია, მაგრამ ადამიანების უმრავლესობას, მილიონობით ადამიანს, როდესაც ლარი ახალ მაღალ ნიშნულს გადალახავს, ტანში ჟრუანტელი უვლის. ეს ის ჟრუანტელი არ არის, რომლის თაობაზეც თავისი ემოციები ფინანსთა მინისტრმა გაგვიმხილა, როდესაც ეს ემოცია სვანეთში განიცადა. ცოცხალია, პარლამენტშია და ღმერთმა კარგად ამყოფოს ბატონი ფინანსთა მინისტრი. მინდა მისი აქ ყოფნით ვისარგებლო და ვკითხო: — მაინტერესებს, თქვენ და თქვენ მთავრობას რამდენი ხანი გექნებათ სირაქლემასავით თავი ჩაყოფილი ქვიშაში, სანამ ერთი დოლარი ერთი დიდი ბლუჯა ლარი არ გახდება?! — მიმართა ქუმსიშვილს ირმა ნადირაშვილმა.

პარლამენტში 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მიმდინარეობს. დოკუმენტი სესიაზე ფინანსთა მინისტრმა წარადგინა.

**ინტერპრესნიუსი**

# უკრაინელი ადვოკატი: „მეგის ქარდავას ექსტრადირება არც განიხილება. შეიძლება, არცაა დაკავებული“



მეგის ქარდავას უკრაინელი ადვოკატის განცხადებით, ქარდავას ექსტრადირება ამ ეტაპზე არ იგეგმება. მისი თქმით, უკრაინულ სამართალდამცველებს ისიც არ აქვთ დადგენილი, არის თუ არა დაკავებული პირი ნამდვილად მეგის ქარდავა.

— ჯერჯერობით პოლიტიკურ თავშესაფარზე არ გვისაუბრია, მისი დაკავების ორი ვერსიაა: ჩატარდა ჩხრეკა ბინაში ან დააკავეს სხვა ადგილას. ტყუილია, რომ მას რამდენიმე პასპორტი ჰქონდა, მას საერთოდ არ ჰქონდა დოკუმენტი, შეიძლება საერთოდაც არაა მეგის ქარდავა.

ექსტრადაციაზე საუბარი საერთოდ არ მიდის, — აცხადებს ადვოკატი მიხეილ ლოტიცკი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# ცხინვალი ახალგორთან საბაჟო პუნქტს ხსნის

## აფხაზებმა თავიანთი წარმომადგენლობა 21 ქვეყანაში გახსნეს

**სანამ თბილისში ფერადი სამკლაურების გამო ქართველები ერთმანეთს ხოცავენ, ოკუპირებული ცხინვალი და სოხუმი სათავისოდ ხლაფორთობს და ამის გამპროტესტებელი არავინაა.**

რამდენიმე დღის წინ ოკუპირებული ცხინვალის ხელისუფლებამ გვამცნო, საქართველოსთან საბაჟო-საკონტროლო პუნქტი იხსნებაო. პირველად ამ იდეით რამდენიმე თვის წინ, მათი პრეზიდენტი, ანატოლი ბიბილოვი გამოვიდა. თბილისში ეს მორიგი ოსური ზღაპარი ეგონათ, მაგრამ როგორც მიხეილ სააკაშვილი იტყოდა — ნურას უკაცრავად!

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის საბაჟო კომიტეტის ხელმძღვანელმა მურატ ცხოვრებოვმა ამ დღეებში განაცხადა, რომ საბაჟო-გამშვები პუნქტი ახალგორთან გაიხსნება.

მისი განმარტებით, ცხინვალის ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი საქართველოდან შემავალი ტვირთების ხარისხისა და მოცულობის კონტროლის მიზნით გადადგა.

ცხოვრებოვის თქმითვე, პუნქტის გახსნის იდეა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც დაადგინეს, რომ საქართველოდან შესული ტვირთები არ იბეგრებოდა.

გაგიკვირდებათ და ცხინვალის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ოფიციალური თბილისი გამოეხმაურა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საბაჟო პუნქტი არ გაიხსნება, რადგან სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს.

მინისტრის მოადგილის თქმით, საბაჟო პუნქტის გახსნა ადგილობრივების უფლების შელახვას შეუწყობს ხელს.

— არანაირ საბაჟოზე საუბარი არ შეიძლება იყოს არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური კუთხით, გამომდინარე იქიდან, რომ საბაჟოები, როგორც წესი, სახელმწიფოებს შორის წესდება. სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს, სახელმწიფო საზღვარი ჩვენ გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან და, ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს საუბარი არანაირ საბაჟო პუნქტზე.

ეს არის შეზღუდვა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის და ზღუდავს იქ მცხოვრები ადამიანების ფუნდამენტურ უფლებას თავისუფალ გადაადგილებაზე და რუსეთის ფედერაციის მხრიდან არის კიდევ ერთი მცდელობა, რომ ოკუპირებული ტერიტორიები მოაქციოს თავისი ეკონომიკური გავლენის ქვეშ, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მისი თქმით, ცხინვალის ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ხელისუფლება ასე არ დატოვებს.

— საბაჟოს გახსნა სამართლებრივად გაუმართლებელია და ამ პრობლემის გამოსატანად ქართული მხარე საერთაშორისო ფორმატს გამოიყენებს, — ასეთია მინისტრის მოადგილის პოზიცია.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილის თქმით კი, საოკუპა-





ციო ხაზთან ვერანაირი საბაჟო ვერ იარსებებს, რადგან საქართველო-რუსეთის საზღვარი კავკასიონის ქედზე გადის.

მინისტრის განცხადებით, საბაჟო-საკონტროლო პუნქტის გახსნა პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით არალეგიტიმურია.

საქართველოს ხელისუფლების პროტესტი ცხინვალში საერთოდ არ აინტერესებთ. მათ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში უკვე გახსნეს წარმომადგენლობა, ასე რომ, არც საბაჟო პუნქტის გახსნა შერცხვებათ.

ამ წარმომადგენლობების გახსნისას ოსებს ერთი სერიოზული იაღლიში მოუვიდათ. „ახალი თაობა" უკვე წერდა მათი საგარეო საქმეთა მინისტრის დიმიტრი მედოევის ევროპული ვოიაჟის შესახებ, ყველაზე დიდი დრო მან იტალიაში გაატარა, მაგრამ იქედან ბარსელონაშიც ჩაირბინა და კატალონიაში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გახსნა.

წარმომადგენლობის გახსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ესპანეთის ხელისუფლებამ კატალონიის მთელი მთავრობა დააპატიმრა.

პუჩდემონისა და მისი მთავრობის წარმომადგენლების უიღბლობა მარტო მედოევს არ უნდა დავაბრალოთ. კატალონიელ სეპარატისტებს შესაძლოა, ცუდი ფეხი აფხაზებმა ჩაუტანეს.

როგორც ესპანური გამოცემა ელ პაისი წერს, ბარსელონაში თავიანთი წარმომადგენლობა აფხაზებმაც გახსნეს. ესპანური მედიის განმარტებით, ამ წარმომადგენლობებს ოფიციალურად არავინ ცნობს.

— არაღიარებული რესპუბლიკები ახალი კონფლიქტებით სარგებლობენ და თავიანთ იდეებს ავრცელებენ.

ბარსელონაში გახსნილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლობები არ არიან იურიდიული პირები და ისინი კერძო პირის უფლებებით სარგებლობენ, — წერს ელ პაისის ჟურნალისტი პილარი ბონეტი.

მისივე ინფორმაციით, ასეთი წარმომადგენლობების გახსნის მხრივ ოსებთან შედარებით ბევრად მეტი უპირატესობა ჰქონიათ აფხაზებს.

— ასეთი კერძო წარმომადგენლობები აფხაზეთს უკვე 21 სახელმწიფოში აქვს, მათ შორის, გერმანიაში, ავსტრიაში, იორდანიაში, სირიაში, ტუნისში, დიდ ბრიტანეთში, საბერძნეთში, ისრაელში, — წერს ელ პაისი.

ესპანური მედიის ცნობით, სოხუმი თავისი წარმომადგენლობის გახსნას მადრიდშიც აპირებს.

— ჩვენ გვინდა, რომ ასეთი წარმომადგენლობა მადრიდშიც გვქონდეს, რათა ესპანელებმა უფრო უკეთ გაგვიცნონ და იზოლაციიდან გამოვიდეთ, — განაცხადა ელ პაისთან საუბარში ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოვემ.

# უსუფაშვილს მოქალაქე ივანიშვილის იმედი აქვს

## საპრეზიდენტო მარათონი იწყება

შორენა მარსაგიშვილი

**თვითმმართველობის არჩევნები ასე თუ ისე დასრულდა და ერი ნელ-ნელა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შეუდგა მზადებას. სამზადისს შეუდგნენ პოლიტიკური პარტიებიც. არ არის გამორიცხული, ბედი საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც სცადოს, რომელიც „ოცნების" კანდიდატი აღარ იქნება.**

მარგველაშვილის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელისუფლებო გუნდი უფრო გულისყურით არჩევს საპრეზიდენტო კანდიდატს. უკვე სახელდება რამდენიმე გვარი.

„ოცნება" ამ ეტაპზე გიორგი კვირიკაშვილის და მიხეილ ჯანელიძის კანდიდატურებს განიხილავს. ამ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებენ, თუმცა კერძო საუბრებში ამბობენ, რომ ამაზე საუბარი იყო.

„ოცნების" კულუარებში არჩილ თალაკვაძის კანდიდატურაც განიხილება. თუმცა მას შესაძლოა ასაკმა შეუშალოს ხელი. თალაკვაძე 34 წლისაა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე პირი კი 35 წლის ქვევით არ უნდა იყოს.

აქტიურად განიხილება ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურაც. ერთ-ერთი ვერსიით, მან სწორედ ამიტომ არ იყარა კენჭი თბილისის მერად.



საპრეზიდენტო მარათონში პარლამენტის ორი ყოფილი სპიკერიც ჩაერთვება. დემოკრატიულ მოძრაობაში ადასტურებენ, რომ მათი ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

ბურჯანაძე წინა არჩევნებში უკვე ღებულობდა მონაწილეობას და მაშინ მან მესამე ადგილი დაიკავა.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს დავით უსუფაშვილის პარტიაც. რესპუბლიკელებიდან წამოსულმა ნასპიკერალმა „შენების მოძრაობა" შექმნა. რესპუბლიკელები ამბობენ, რომ ეს პარტია ივანიშვილის სატელიტია.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის და ივანიშვილის შესაძლო ალიანსზე „ოცნებაშიც" საუბრობენ. მმართველი გუნდი არ გამორიცხავს, რომ ყოფილმა პრემიერმა საპრეზიდენტო არჩევნებში უსუფაშვილს დაუჭიროს მხარი.

ამ თემაზე უსუფაშვილმაც ისაუბრა. აიპრესთან საუბარში ის აცხადებს, რომ ცუდი არ იქნება, თუ მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი გაიაზრებს ქვეყნის მომავალს და მათ საპრეზიდენტო კანდიდატს მხარს დაუჭერს.

— ზუსტად რაც ვიცი, ისაა, რომ „შენების მოძრაობამ" გამოაცხადა თავისი პრიორიტეტები. იდეოლოგიურიც, მსოფლმხედველობრივიც, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნებზეც. რაც მეტი მოქალაქე დაუჭერს მხარს „შენების მოძრაობას" და მის კანდიდატებს მხარს, ამით ჩვენ მხოლოდ კმაყოფილი ვიქნებით. ამიტომ თუ მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს და სწორად გაიაზრებს ქვეყნის მომავალს და „შენების მოძრაობის" კანდიდატს მისცემს ხმას, ეს ცუდი არ იქნება, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

საპრეზიდენტო მარათონში შესაძლოა, მესამე ნასპიკერალიც ვიხილოთ. „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე, ბურჯანაძის მსგავსად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა. მაშინ ის ნაციონალების კანდიდატი იყო. „ევროპულ საქართველოში" საპრეზიდენტო კანდიდატად გიგი უგულავაც მოიაზრება.

# ერევანში ჯავახეთში სომხეთის საკონსულოს გახსნას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

**რამდენიმე დღის წინ რუსეთში ჯავახელი სომხების დიასპორის ხელმძღვანელმა აგასი არაბიანმა ჯავახეთი დამოუკიდებელ რეგიონად შერაცხა და საქართველოს ხელისუფლებას მასთან მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა.**

ამაზე საქართველოს ხელისუფლებას მსუბუქი პროტესტიც არ გამოუხატავს და შედეგმაც არ დააყოვნა — ჯავახეთის საკითხმა სომხეთის პარლამენტის სხდომაზე წამოიწია.

3 ნოემბერს სომხეთის საკანონმდებლო ორგანოს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი შარვაშ ქოჩარიანი სტუმრობდა. ის სომეხ კანონმდებლებს ევრაზიულ კავშირზე ესაუბრებოდა.

წარმოშობით ჯავახელმა შირაკ ტოროსიანმა, რომელიც ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევა, ჯავახეთის თემა წამოსწია.

მისი აზრით, კარგი იქნება თუ სომხეთი ჯავახეთში თავის საკონსულოს გახსნის. ის მინისტრის მოადგილეს ჩაეკითხა კიდევაც, ასეთი რამე გეგმაში ხომ არა გაქვთო.

შარვაშ ქოჩარიანი ამის აუცილებლობას ვერ ხედავს. ამის მიუხედავად, შორეულ პერსპექტივებზე არ საუბრობს, ახლო მომავალში სომხეთის საგარეო უწყება საქართველოში დამატებითი საკონსულოს გახსნას არ აპირებს.

— 2018 წელს ჩვენ ჯავახეთში საკონსულოს გახსნას არ ვაპირებთ. ამის აუცილებლობა არც არის. საკონსულო უკვე ფუნქციონირებს ბათუმში, — განაცხადა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ტოროსიანს თავისი ანტიქართული გამოხდომების გამო, საქართველოში შემოსვლა აუკრძალეს. ეს გადაწყვეტილება წინა ხელისუფლებამ მიიღო. მას სანქციები არც „ოცნებამ" მოუხსნა.

მან რამდენჯერმე გვიწინასწარმეტყველა ჯავახეთში აჯანყება. ტოროსიანის თქმით, აჯანყება იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო ნატოში შევა, ან თურქი-მესხები დაბრუნდებიან.

შირაკ ტოროსიანისგან განსხვავებით, საქართველოს მიმართ დადებით ემოციებს აფრქვევს სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი.

მისი თქმით, საქართველო კეთილსინდისიერად ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს



როგორც მეზობლურს, ასევე სხვა ტიპის ვალდებულებებს.

— საქართველოსთან ცუდი ურთიერთობა რომ გვქონოდა, რასაკვირველია, გახდებოდა, მაგრამ ჩვენ მსგავსი შემთხვევა არ გვქონია. ამჟამად, სომხეთს არ აქვს შესაძლებლობა, აწარმოოს სავაჭროურთიერთობა ევრაზიული კავშირის წევრ ქვეყნებთან საქართველოს ტერიტორიის გვერდის ავლით.

ადამიანები, რომლებიც თავდაპირველად საბაჟო კავშირისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფორმირებით იყვნენ დაკავებული, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ეს დიდი წინაღობა იქნებოდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ვითარებაში გაერკვნენ, მიხვდნენ, რომ ეს ასე არ არის, — ამის შესახებ სარგსიანმა რუსულ გამოცემა BFM-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ეს ყველაფერი შეიძლება იყოს ტექნიკური ბარიერი, თუმცა მისი გადალახვა შესაძლებელია.

— სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვა გვიჩვენებს, რომ ქართული მხარე კეთილსინდისიერად ასრულებს ვალდებულებებს როგორც მეზობლურს, ასევე სხვა ტიპის ვალდებულებებს. ამიტომ, აქ ბარიერს მხოლოდ უხარისხო გზა წარმოადგენს. ვფიქრობთ, როგორ გავიყვანოთ კიდევ ერთი გზა, — ამბობს სომხეთის პრეზიდენტი.

# „ბებერსაც უნდა ჭამა, სმა და არსებობა“

— თქვენ რომელი არხი ხართ?

— მთის ამბები.

— მთის ამბები? ეგ ახალია რაღაცა, მე არ გამიგია და მთიელები ხართ? ღმერთმა ჯანმრთელები გამყოფოთ. აბა, ცოტა მივიპრანჭ-მოვიპრანჭო...

თმას ისწორებს და იწყებს. იწყებს თავიდან, — „მე აქ დავიბადე შვილო, მაისში 90 წელი შემისრულდება. ოცი წლი-




სა რომ გავხდი, გავთხოვდი და ერთი წელიც ვერ დავჰყავი ქმრის სახლში. წამოვედი და ქმარიც აქ წამოვიყვანე. მალე გავცილდი ქმარსა... რა ვიცი, ძაან ამაყი ვიყავ, თამამი და უხეში. მას მერე შუაფხოში ვარ. 2 ვაჟი გავზარდე, 4 შვილიშვილი მყავს და 3 შვილთაშვილი. 3 წელია რაც ჩემი უმცროსი ბიჭი აქედან წავიდა, თორემ ისიც აქ იყო“.

რაც დაიბადა, მას შემდეგ შუაფხოშია. სულ ორჯერ დატოვა სოფელი — ერთხელ, ახალგაზრდობაში, როცა გათხოვდა, მეორედ კი გასულ ზამთარს, როდესაც თავი ცუდად იგრძნო, „ემანდ მარტოობაში არ მოვკვდეო“ იფიქრა და სოფელ თვალივში წავიდა შვილთან, გამოსაზამთრებლად.

— სამი თვე ვიყავი ჩემს შვილთან და ფუტკარს აღარ მაძლევენ, მუდმივად აქ არა ხარო. მთის ხალხს ჩუქნიან ფუტკარსა და მე არ მაძლევენ. რატომ წახვედიო, აღარ გერგებაო, შარშან ფულები მოგვცეს 200 მანეთი, წელსაც უნდა დაარიგონ, მარა მე სიიდან ამამიღეს როგორც ბებერი, მაგრამ ბებერსაც უნდა ჭამაც, სმაც და არსებობაც. რო დაბერდებიან, მერე მამიგონებენ და გვიან იქნება, — ცოტა ხნით ისვენებს და ამატებს, — ჯანდაბას, როგორც მიცხოვრია, ისევ ისე ვიცხოვრებ.

შრომაში ცხოვრობს. როდესაც შუაფხოში თეკლა ბებო ვიკითხეთ, სოფლის თავში, ფერდობზე, კაკლის ხეებისკენ მიგვასწავლეს, იქ იპოვითო. დადიოდა და კაკალს აგროვებდა, ფერდობზე ხელებს იხმარდა ასასვლელად, შემოდგომის გამომშრალ ფოთლებზე ფეხი რომ არ დასცდენოდა.

— რისთვის ვაგროვებ? შვილები, შვილიშვილები, ვილაცა მამივა ნათესავი იმას გავატან, მე თვითონაც მოვიხმარებ. ეხლა მე ყოველ წელს ერთ ვედრა ერბოს, ყველს, კაკალს ყველაფერს ვინახავ, რო მოვკვდები, არ დალონდნენ ჩემი შვილები, ხარჯი ხო მინდა. აი, მაგისთვის ვაგროვებ კაკალს. მიქელგაბრიელმა მომიკაკუნა მე მგონი უკვე. 90 წელი ცოტა არ არი შვილო, მაგრამ ვერ გავჩერდები, ხო უნდა იმოძრაო რაღაცა შეჰქმნა, რაღაცა იშოვო. აი, ჭრიჭინა და ჭიანჭველა ხო მოგიყე, — როდესაც ეკითხებიან, ამ სიბერეში ამდენს როგორ შრომობო, იმ ჭრიჭინას ამბის მოყოლას იწყებს, ზამთრისპირს ჭიანჭველას რომ მიადგა, გამომკვებეო.

გვიყვება, რომ განსაკუთრებით ზამთარში უჭირთ იქაურებს. –20 გრადუსიან ყინვაში ადამიანის ყოფნაც რთულია და საქონლის მოვლაცო. ამიტომაც მიჰყავთ საქონელი ბარში, რომ იქ გამოაზამთრონ და გამოკვებონ. თეკლა ბებოს აზრით, მეტი ხელშეწყობა სჭირდება მთის ხალხს: სკოლები, ექიმები, ხიდები, გზები, დახმარება — გზები, ნაპირსამაგრები უნდა გააკეთონ, გადასახადი არ უნდა გადაახდევინონ. წამოიწიოს ხალხმა ძროხით, ცხვრით და მერე შეაწერონ ის გადასახადი, თუ აუცილებელია.

დღევანდელ მთავრობას მაინც არ ემდურის, არჩევნებზეც დადის, ახლა, ოქტომბერშიც იყო.

— ყველა სოფელი ცოცხალი იყო ჩემს ბავშვობაში, რაც კი სოფლები იყო ფშავში. ახლა ბევრია დაცლილი. ჭიჩოში ერთადერთი კაცი ცხოვრობს, უძილაურთაში აღარავინ არის, არც ახადში, ბევრი სოფელი დაიცალა შვილო, ბევრი...

60 კომლს უცხოვრია შუაფხოში მაშინ, თუმცა აღარც ხეობა და სოფელია ისეთი, როგორიც მის ბავშვობაში.

თავის ცხოვრებაზე ბევრს არ ლაპარაკობს. უკანაფშავის ხევისბერის შვილია და როგორც კი მამაზე ვთხოვთ საუბარს, სახე უნათდება.

— ბებოჩემი იტყოდა ხოლმე, რომ დაიბადა, სინათლის სვეტი დასდგომია მამაჩემს, ღმერთს სხვანაირად ჰყავდაო მონიშნული.

105 წლამდე უცოცხლია. 100 წლისა კიდევ ხევისბერობდაო, ამბობს და სიამაყით იხსენებს, როგორ სცემდნენ პატივს სოფელსა და მთელ ხეობაში. გულდაწყვეტით ამბობს, რომ დღეს ისე აღარაა ხეობაში აღარც ხევისბერობა და აღარც სხვა ძველი ტრადიციები. „ამათ არ იციან და ჰგონიათ ეგ არიო რა. ასრულებენ რა, ისე ვერა როგორც ისინი, მარა. უდედობას დედინაცვალიო, უხევისბრობას ხო მაინც სჯობია. ცდილობენ მაინც, ხატში მიდიან, საკლავს ხოცავენ, ყმებად აბარებენ შვილებს, შვილიშვილებს. სანამ ფშავი იარსებებს, ეგ არ გაუქმდება. მთაწმინდის წვერის ანგელოზია იქ, მთავარანგელოზი. ამასწინათ, ვიღაც იყო სიონიდან მოსული. ბებო, მასწავლე, როგორ მივიდე, კურატი უნდა ავიყვანო და დავკლაო. იქ წვერზე უნდა აიყვანონ კურატი, დაკლან და დალოცონ ვაჟი, მარტო ვაჟი და გოგო არა. ქალზე მარტო ქადას გასჭრიან.

ვთქვა, ხატში როგორ ილოცებოდნენ ადრე?

დიდება შენდა ღმერთო, მაღალო ცათა სწორო, ხმელეთის ბადალო ქრისტეო და ღმერთო დასწერე ჯვარი, ანთებულ სანთელს დადგმულ ჭიქა-ბარძიმს, დაჭვრეთილ სეფეს, ვინც დედამიწა დაარსა, ცა სარგვლად დაჰხურა, მზე მთვარე მოჰფინა, ღვთისშვილი აკურთხა ღვთისშვილადა და ჩვენ მოსამსახურენი ჩაგვაბარა მოსამსახურედა. გეხვეწებით, გევედრებით, გახვეწებთ ჩემ თავს, ჩემ შვილბოლოს, აი ამ გორზე შემომხტარ ყველა მლოცავს მიეცით ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ჭკუა-გონება, ბედ-იღბალი, ნურც ენიანთ ენას მორევთ, ნურც დავლათიან დავლათს, და მტერი მტერზე გადაუგდეთ, მწარე სიკვდილი მუხანათზე, დალოცვილო გეხვეწები და გევედრები.

ამ ფშავური დალოცვით გვაცილებს, მადლობა, რომ მოხვედით და გამართეთ ბებერი ქალიო და დარიგებასაც გვატანს „და კიდევ გეტყვით, შვილო, დედამიწამ ნამუსს უთხრა, ჩემზე მძიმე შენა ხარო. დედამიწაზე მძიმეა ნამუსი... ნამუსით იცხოვრეთ, სიკეთე რჩება ამქვეყნად მარტო“.

**მთისამბები.გე**

# „გერმანიაში ბიზნესის კეთება ადვილი არ არის, აქ საქართველოსგან განსხვავებით უფრო მეტი ბიუროკრატია“

ევროპაში ბევრი ქართული რესტორანია, რომელთა მფლობელებიც ძირითადად საქართველოდან წასული ემიგრანტები არიან. „კომერსანტი“ დაინტერესდა რამდენად რთულია ქართველისთვის ევროპაში ბიზნესის წარმოება, რა ბარიერებს აწყდებიან და აღწევენ თუ არა საკუთარ საქმეში წარმატებას — ამ კითხვებზე „კომერსანტს“ დუსელდორფში ქართული რესტორნის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა რატი წაქაძემ უპასუხა.

***— რამდენი წელია რაც გერმანიაში ცხოვრობთ და როდის გადაწყვიტეთ ქართული რესტორნის გაკეთება და რა იყო „პეპელას“ შექმნის მიზანი?***

— გერმანიაში უკვე 14 წელიწადია ვცხოვრობ, აქ ვსწავლობდი. ბოლოს ჩემს პარტნიორ მიხეილ გაბელაიასთან ერთად გადავწყვიტე ქართული სამზარეულო შეგვეთავაზებინა ევროპელებისთვის ისე, რომ თავი არ „მოგვეჭროდა“, რადგან, ჩემი აზრით, ქართული რესტორნების უმრავლესობა არის უგემოვნობის მაგალითი გერმანიაშიც. რესტორანი „საქეიფო“ ადგილი დიდი




ხანია აღარ არის დასავლეთ ევროპასა და განვითარებულ ქვეყნებში. მინდოდა საბჭოთა ქართული კონტექსტიდან ამომეგლიჯა ეს ყველაფერი და რაღაც ახალი გაგვეკეთებინა და ჯერჯერობით შევძელით.

რაც შეეხება სახელწოდებას „პეპელა“, უბრალოდ აზრად მომივიდა და დავარქვით. არ მინდოდა დამერქმია „გენაცვალე“, „გოგია“, „თამადა“ და ისეთი სახელი, რაც ისევ ქეიფთან და ძველმოდურთან დაგვაკავშირებდა. თანაც „პეპელა“ ასოციაციურად ჩვენს კონცეფციას ძალიან უხდება, რადგან გვაქვს უფრო გროტისკული და არაგადაპრანჭული გარემო, არ გვაქვს აქცენტი ვარსკვლავებზე. უბრალოდ ადამიანური, ცოტა კრეატიული გარემოა.

გვინდა ქართველები ცოტა სხვა თვალით დაგვინახონ და დავუპირისპირდეთ აზრს, რომ აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსული მესამე კატეგორიის ქვეყანაში მცხოვრები ხალხი ვართ. ვისაც ფული აქვს აქ, ყველამ გახსნა რუსული დაბადების დღის ცენტრი, ასე ვუყურებ მე მათ რესტორნებს. ალბათ, ესეც იყო რესტორნის გახსნის იდეა, რომ რაღაც სხვა კუთხითაც მეჩვენებინა, რომ ქართველები ასეთები არ ვართ, ესენი არიან საბჭოელები.

კონცეფცია, რომელიც მოწინავე ქვეყნებში უკვე დანერგილია, გულისხმობს, ასე ვთქვათ, ჭამის „ივენთიზირებას“, გასტრონომია უკვე ამ მიმართულებით მიდის. მხოლოდ გემრიელი საჭმელი აღარ არის მნიშვნელოვანი, გემრიელი სასმელიც უნდა იყოს, კარგი მუსიკაც, სასიამოვნო ატმოსფერო, მიმტანები უნდა იყვნენ კეთილგანწყობილები და ამასთან, თუ მფლობელიც არის ადგილზე და ხალხს ესაუბრება, მომხმარებლებს ძალიან უხარიათ. ჩვენ სწორედ ამ კონცეფციას მივყვებით, სტუმრებს ვხვდებით, როგორც მასპინძლები, ისინი მოდიან ჩვენთან ფაქტობრივად სახლში. ეს არ არის ოფიციალური დაწესებულება, სადაც მიმტანს ფორმა აცვია და სახელი აწერია, ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობებია, მიმტანები და კლიენტები ერთმანეთს უკვე კარგად ცნობენ, რაღაც კომუნასავით ჩამოყალიბდა და, რა თქმა უნდა, საქართველოს რეკლამირებას ვაკეთებთ და ვცდილობთ არა მხოლოდ სამზარეულო დავანახოთ სხვა კუთხით, არამედ კულტურაც.

***— ზოგადად კერძებზე რომ ვისაუბროთ, რომელი კერძი მოსწონთ ყველაზე მეტად თქვენს სტუმრებს და ვინ ამზადებს მათ?***

— რაც შეეხება სამზარეულოს, ჩემი აზრით, უფრო გავაესთეტიურე, თითქმის ამოღებულია ძველი. კლასიკური საჭმელები, როგორიცაა ხაჭაპური, ლობიანი, კუბდარი ყოველთვის პირველ ადგილზეა. ჩვენთან დასაქმებული არიან მხოლოდ ქართველები, მზარეულიც ქართველი გვყავს და ჩემი მეუღლეც სამზარეულოში მუშაობს. საქართველოდან მხოლოდ სუნელები ჩამოგვაქვს, დანარჩენის პროდუქცია ადგილობრივია. ადვილი არ იყო ისეთი ყველის მიღება, როგორიც ჩვენს ხაჭაპურს სჭირდება, მუშაობა იყო საჭირო და გამოგვივიდა. ჩვენი მომხმარებლების 80% გერმანელები არიან, დანარჩენები ქართველები, რუსები, უკრაინელები.

***— გვსმენია, რომ ევროპაში ქართულ რესტორნებში ძალიან ძვირი ფასებია, თქვენ როგორი საფასო პოლიტიკა გაქვთ?***

— სხვა რესტორნებთან შედარებით, დაბალი გვაქვს, ეს არ არის ხუთვარსკვლავიანი რესტორანი, სადაც ერთ ხაჭაპურში 25 ევროს გადაახდევინებ. ჩვენთან ხაჭაპური ღირს 8.5 ევრო. საფასო პოლიტიკის განსაზღვრისას გავითვალისწინეთ, რომ აქ მცხოვრებმა ქართველებმაც შეძლონ მოსვლა, სხვა შემთხვევაში შეგვეძლო ბევრად მაღალი ფასების დაგვეწესებინა. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდული სიტუაციაც შევინარჩუნოთ, სტუდენტებმაც იარონ და არ დავრჩეთ ვაკუუმში, სადაც მხოლოდ ის ადამიანები ივლიან, ვისაც ბევრი ფული აქვთ.

***— რამდენად მარტივია ბიზნესის კეთება ქართველისთვის ევროპაში და როგორ შეადარებდით ბიზნესგარემოს გერმანიასა და საქართველოში?***

— საქართველოში ბიზნესი არ მიკეთებია და ვერ შევადარებ, მაგრამ რა ინფორმაციაც მაქვს, საქართველოში ბევრად ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა არსებობს, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში, ნაკლები გადასახადებია, ნაკლები ბიუროკრატია. გერმანიაში ამ მხრივ ძალიან ცუდი სიტუაციაა, ძალიან ძნელია ბიზნესის კეთება. გერმანიაში ძალიან დიდი ბარიერებია ანუ ბიზნესის დაწყების და კეთების თვალსაზრისით კარგი ადგილი არ არის, უბრალოდ, ამ ქვეყანაში მეტი ფულია, ვიდრე სხვაგან და ეს აკონპენსირებს სხვა დანარჩენს. უამრავი უწყებაა, რომელთაც ერთმანეთშიც კი არ აქვთ კომუნიკაცია და ხანდახან თვითონაც იკარგებიან ამ ბიუროკრატიულ ლაბირინთში. ამასთან, გადასახადები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

***— რა იყო ყველაზე დიდი ბარიერი, როცა ბიზნესში პირველ ნაბიჯებს დგამდით?***

— როცა რესტორნის გახსნა გადავწყვიტე, დაახლოებით ნახევარი წელიწადი ვეძებდი ფართს და უბრალოდ, ვერ ვშოულობდი, იმიტომ კი არა, რომ არ იყო — არ მაძლევდნენ. უცხო ხარ მათთვის და დისტანციურად გიდგებიან. კერძო გამქირავებლები ძალიან დიდ ფინანსურ „ზურგს“ გთხოვენ, რომ არ გაკოტრდები და გადაიხდი ქირას, გეკითხებიან რამდენი ხანი გქონდა უკვე ქართული სამზარეულო და მე არ მქონია მანამდე — ასე რომ, ძალიან რთულია პირველი ნაბიჯების გადადგმა.

***— დროდადრო საქართველოში ჩამოდიხართ და იცნობთ აქაურ სარესტორნო ბიზნესს, რა ხარვეზები გვაქვს ამ მიმართულებით ევროპასთან შედარებით?***

— საქართველოს სარესტორნო ბიზნესში ბევრი ხარვეზია, მათ შორის, ყველაზე თვალშისაცემია მიმტანების საკითხი, როცა ისინი მოდიან შეკვეთის მისაღებად, მგონია, რომ ექსპლუატაციას უწევენ და რამეს აძალებენ. სერვისის ძალიან დაბალი დონე გვაქვს ამ მხრივ. ამის ერთ-ერთ არგუმენტად ამბობენ მიმტანების დაბალ შემოსავალს საქართველოში. შესაძლოა, მიმტანს აქ მეტი შემოსავალი აქვს, თუმცა ხარჯებიც მეტი აქვთ და ფაქტობრივად, იგივე დონეზე ცხოვრობენ. ჩემი აზრით, ამ პრობლემას ზოგადად საზოგადოების კონტექსტთან აქვს კავშირი, საერთოდ, დათრგუნულია საქართველოში ხალხი.

# კახა კალაძე: „მოგვიწევს მუშაობა, რომ ძველი, ყვითელი ავტობუსების პარკი ჩანაცვლდეს“

თბილისის ახლად არჩეული მერი კახა კალაძე დიდ დიღომში მდებარე მეორე ავტობაზაში იმყოფებოდა, სადაც ავტოპარკი დაათვალიერა და ადგილზე დასაქმებულ თანამშრომლებს შეხვდა.

დედაქალაქის არჩეულმა მერმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების აუცილებლობასა და ამ მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

— დავათვალიერეთ არსებული ავტობაზა. ზოგადად, ტრანსპორტის განახლება ჩვენი ერთ-ერთ პრიორიტეტი იქნება. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არა მხოლოდ კომფორტული, არამედ პოპულარულიც უნდა გავხადოთ. მომდევნო წლების განმავლობაში, არსებული ყვითელი ავტობუსების პარკის ევროპული, თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით ჩანაცვლებას ვაპირებთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, 143 ავტობუსი, რომელიც თბილისის მერიამ დედაქალაქში შემოიყვანა, მისასალმებელია, თუმცა ეს მოსახლეობისთვის საკმარისი არ არის.



— შესაბამისად, მომდევნო წლების განმავლობაში მოგვიწევს მუშაობა, რომ ძველი, ყვითელი ავტობუსების პარკი ჩანაცვლდეს, — აღნიშნა კალაძემ.

თბილისის მერის არჩევნებში გამარჯვებულმა კანდიდატმა მანამდე, ალმაშენებლის გამზირზე გაისეირნა, სადაც მოქალაქეებს გაესაუბრა. დიდ დიღომში მდებარე ავტობაზამდე კი, კახა კალაძემ ავტობუსით იმგზავრა და მოქალაქეებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია მიაწოდა.

# ბაზარზე ქართული ხიზილალა დეკემბრის ბოლოდან გაიყიდება

ბაზარზე ქართული ხიზილალა დეკემბრის ბოლოს გამოჩნდება. პროდუქცია „უმალის“ ბრენდით გაიყიდება. როგორც „კომერსანტთან“ თევზის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია შპს „ახალი თევზის“ დირექტორი მინდია ინასარიძე აცხადებს, თავდაპირველად სარეალიზაციო ქსელში კალმახის (წითელი) ხიზილალა გამოვა, მოგვიანებით კი დაგეგმილია ზუთხის (შავი) ხიზილალის წარმოებაც.

ინასარიძე აცხადებს, რომ პროექტზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს და ის, თუ ქართული ხიზილალა რამდენ გრამიან შეფუთვაში და რა ფასში გაიყიდება, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინ, კომპანიის მაშინდელი დირექტორი ომარ ჭილლაძე „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ ქართული წარმოების ხიზილალა იმპორტირებულთან შედარებით 15 პროცენტით ძვირი იქნებოდა, თუმცა, იქნებოდა ხარისხიანი. კომპანიის მაშინდელი ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ ქვეყანაში



იმპორტირებული სომხური შავი ხიზილალა 1 კილოგრამი 2 000 დოლარი ღირს.

— ადგილობრივად წარმოებული ძვირი იქნება, რადგან საქართველოში მოპოვება ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე სხვა ქვეყანაში, — აცხადებდა ჭილლაძე.

მისივე განცხადებით, კერძო საკალმახეები ამ ეტაპზე აწარმოებენ ხიზილალას, თუმცა, ისინი პროდუქტის არც შემოწმებას ახდენენ და არც ქსელში იყიდება. „ყიდიან ადგილზე, ხიზილალას წარმოებას თავისი სტანდარტი და პროცედურა აქვს. ასე კუსტარულად წარმოებული კი ხარისხიანი არ არის, — აცხადებდა ჭილლაძე.

„უმალის“ ამჟამინდელი დირექტორი მინდია ინასარიძე აცხადებს, რომ წარმოების დაწყებიდან 5 თვეში კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქცია სარეალიზაციო ქსელში საკმაოდ მოთხოვნადია. მისი ინფორმაციით, ამ დროისთვის კომპანია აწარმოებს თევზის ხინკალს, პილმენს და კოტლეტს. წლის ბოლომდე ეტაპობრივად დაგეგმილია პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდაც. საუბარია ზუთხის და კალმახის პროდუქციაზე. მათ შორის იქნება თევზის პროდუქტებისგან დამზადებული სალათები და ნახევარფაბრიკატები — ფილე, ბლინი.

როგორც ცნობილია, თევზის გადამამუშავებელი კომპანია და ქარხანა ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში მდებარეობს. აღნიშნული საწარმო „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა.

— ახალი თევზი წლიურად 150 ტონა სხვადასხვა სახეობის თევზისა და ხიზილალას წარმოებას უზრუნველყოფს. საწარმოში 30 ადამიანია დასაქმებული. უახლოეს მომავალში მათი რიცხვი 65-მდე გაიზრდება. ამ ეტაპზე პროდუქციის 100% განკუთვნილია ადგილობრივი ბაზრისთვის, იგეგმება ექსპორტზე გატანაც.

კომპანია „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 1,500,000 აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 249,081 აშშ დოლარი გრანტია, ხოლო 311,352 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

„ონლაინ თამაშებზე შეზღუდვები უნდა დაწესდეს, მისი სრულად აკრძალვა ქვეყნიდან თანხების გადინებას გამოიწვევს“

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონპროექტში შესატან იმ მუხლს, რომელიც თამაშზე დამოკიდებულ პირთა მონაცემების ბაზარს ითვალისწინებს, სპეციალისტები მისაღებად მიიჩნევენ. თუმცა თვლიან, რომ ამას ეფექტი იმ შემთხვევაში ექნება, თუ ფინანსთა სამინისტროს მიერ შეთავაზებული მექანიზმები სწორად განხორციელდება.

როგორც ცნობილია, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, ერთ-ერთი ცვლილება იქნება ის, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა მონაცემთა ბაზა შეიქმნება, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აწარმოებს.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პიროვნებას შეეძლება, რომ მონაცემების რეესტრში თავად დარეგისტრირდეს. ასევე, მისი ოჯახის წევრი უფლებამოსილი იქნება სასამართლოს წესით მოითხოვოს პირის მონაცემების რეესტრში შეტანა. სიაში მყოფი პირების სათამაშოდ დაშვების ორგანიზატორები 5.000 ლარის ოდენობით დაჯარიმდებიან.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ეკონომისტი ანდრია გვიდიანის თქმით, ქართულ რეალობაში ახალი ინიციატივა ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ფინანსთა სამინისტროს მიერ შეთავაზებული მექანიზმები სწორად განხორციელდება.

— მსგავსი სიის შემოღების ინიციატივას მივესალმები. „აფბას“ რეკომენდაციებში, რომლებიც აზარტული თამაშების შესახებ გამოვაქვეყნეთ, ერთ-ერთი ინიციატივა სწორედ ეს იყო. ეს არის თვითაკრძალვის ერთ-ერთი მექანიზმი. ამ სენით ძალიან ბევრი ადამიანია დაავადებული და მათთვის მისაღებია, რომ საკუთარ თავს თამაში აუკრძალონ. მართალია, ისინი თამაშს ველარ მოახერხებენ, თუმცა ტექნიკურად ამის გაკონტროლება როგორ მოხდება და რამდენად ეფექტურად იმუშავებს, არ ვიცი. როგორც ვიცი, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მოდელი აქვს შექმნილი. ქართულ რეალობაში ამ მექანიზმების გადმოღება თუ სწორად მოხდა, გაამართლებს, — განმარტავს გვიდიანი.

მისივე თქმით, ევროპის ქვეყნებში სათამაშო სფეროში ე.წ. შავი სიის არსებობა აპრობირებულია:

— ასეთი გამოცდილება არის ევროპის ქვეყნებში, სადაც ონლაინ სივრცეში მოთამაშეს, თავად შეუძლია შეწყვიტოს წვდომა ონლაინსივრცესთან და ასევე, ოჯახის წევრებსაც აქვთ უფლება, აუკრძალონ მათ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა. შესაძლოა, კონკრეტულმა მოთამაშემ ონლაინ სივრცეში ახალი იუზერი შექმნას და ისე ითამაშოს. ეს როგორ გაკონტროლდება, არ ვიცი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამკრძალავი მექანიზმის არსებობა აუცილებელია.

რაც შეეხება ზოგადად აზარტული თამაშების სფეროს რეგულაციებს, რომელსაც „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს და რომელიც უკვე პარლამენტშია ინიცირებული, ამ ეტაპზე უცნობია, კონკრეტულად ონლაინ თამაშების აკრძალვა მოხდება თუ რეგულაციები დაწესდება. ანდრია გვიდიანის შეფასებით, არა სრული აკრძალვა, არამედ რეგულაციების შემოღებაა საჭირო.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც ონლაინ სათამაშო სივრცეში არასრულწლოვნების ჩართულობის რისკს მინიმუმამდე დაიყვანს. ასევე, გამჭვირვალე უნდა იყოს ის ტრანსფერები და თანხების მოძრაობა, რომელიც ტრიალებს აზარტულ თამაშებში. არსებობს ფულის გათეთრების რისკები, რასაც გაეროს შესაბამისი კვლევაც ადასტურებს. ონლაინ სივრცეში მოთამაშეთა იდენტიფიცრების საკითხები უკონტროლოა. ამასთან, ფინანსთა სამინისტრომ აღიარა, რომ ამ სივრცის კონტროლის მექანიზმი არ გააჩნია. სრულად უნდა მოხდეს იდენტიფიცირება, თუ ვინ არის აზარტულ თამაშებში ჩართული. დღეს ნებისმიერი თერთმეტნიშნა კოდით დარეგისტრირება ყველას შეუძლია და შესაძლებელია, ნებისმიერ ადამიანთან წააგოს, საზღვარგარეთიდან შემოვიდეს თანხა, რომლის მიზნობრიობა დაუდგენელია, — აცხადებს „აფბას“ ეკონომისტი.

ანდრია გვიდიანი აღნიშნავს, რომ ევროპის ქვეყნებმა ეს ეტაპი უკვე გაიარეს და მაღალი რისკის გამო, რეგულაციები შემოიღეს:

— ბევრ ქვეყანაში აზარტული თამაშების რეგულაცია მოხდა. ზოგან კი ონლაინ სათამაშო სივრცეები საერთოდ აიკრძალა. მიუღებელია ჩემთვის ის პოზიცია, როდესაც ადამიანები გამოდიან და აზარტულ სივრცეში რეგულაციების შემოღებას არ იზიარებენ. მით უმეტეს, ეს გზა უკვე ბევრმა ქვეყანამ გაიარა.

რაც შეეხება გარკვეულ ექსპერტთა მოსაზრებას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ონლაინ თამაშების სრული აკრძალვა ეკონომიკაში უარყოფით ეფექტს მოახდენს, გვიდიანის თქმით, ეს შეხედულება არასწორია.

— ონლაინ თამაშების სივრცე თუ შეიზღუდა, ის თანხები, რაც ამ სივრცეში ბრუნავდა, ეროვნულ დანაზოგებისკენ გადაინაცვლებს და შემდგომ საბანკო სექტორის მეშვეობით ინვესტიციებად დაკონვერტირდება. ეკონომიკა ბევრს არაფერს დაკარგავს, მაგრამ სრული აკრძალვა საქართველოდან თანხების გადინებას და უცხოურ სერვერებზე თამაშის კოეფიციენტი გაიზრდება. ეს იქნება მხოლოდ დანაკარგი. დანარჩენი თანხები ეკონომიკაში დარჩება. ზოგჯერ არასწორად ესმით ექსპერტებს და ამბობენ, რომ ონლაინ სათამაშო სივრცის შეზღუდვით ეკონომიკას ამ სფეროს დივიდენდები მთლიანად დააკლდება. ამას არ ვეთანხმები, — აღნიშნავს ანდრია გვიდიანი.

# რაზე ისაუბრებენ ტრამპი და პუტინი ვიეტნამში

მარიამ მჭედლიშვილი

**აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, იგი რუსეთის ლიდერს ვიეტნამში შეხვდება.**



6-დან 11 ნოემბრის ჩათვლით, ვიეტნამის ქალაქ დანანგში იმართება აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის მორიგი სამიტი. მასში 21 სახელმწიფო მონაწილეობს, მათ შორის — აშშ და რუსეთი. დონალდ ტრამპის ინფორმაციით, იგი ვლადიმერ პუტინს ამ ფორუმის მიმდინარეობისას შეხვდება. სავარაუდო განსახილველ თემებს შორის მან დაასახელა ჩრდილოეთ კორეის, სირიისა და უკრაინის პრობლემები.

მომავალი შეხვედრა ჩაივლის იმ კამპანიის ფონზე, რომელიც რამდენიმე თვეა მიმდინარეობს ტრამპისა და მისი ყოფილი საარჩევნო შტაბის წინააღმდეგ. გამოძიებამ დაადგინა ამ შტაბის წევრების საეჭვო კავშირები რუსეთის წარმომადგენლებთან. გრძელდება სიტყვიერი ბრალდებები პირადად ტრამპის წინააღმდეგ. მისი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებში ჰილარი კლინტონი აღნიშნავს, რომ რუსეთისთვის ჯერაც არავის მოუთხოვია პასუხი მის შეტევასა და ჩარევაზე აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. მანვე ტრამპს ბრალი დასდო რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების შეჩერებაში. კლინტონი ირწმუნება, რომ აშშ-ის კონგრესის მიერ დამტკიცებული სანქციების ამოქმედებას პრეზიდენტი აფერხებს.

სახელმწიფო დეპარტამენტმა 27 ოქტომბერს გამოაქვეყნა რუსეთის 33 კომპანიისა და 6 სადაზვერვო სტრუქტურის სია, რომლებთანაც ყველანაირი თანამშრომლობა იკრძალება. სანქციებში მოხვედრილი ნავთობკომპანიები 31 ოქტომბერს დაასახელა ასევე ფინანსთა სამინისტრომ. მათ შორის არიან გაზპრომი, როსნეფტი, ლუკოილი და სურგუტნეფტეგაზი.

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, უკრაინის აღმოსავლეთში რუსეთი უკან იხევს და ვაშინგტონის მხრიდან სწორი ნაბიჯების გადადგმისა და მოსკოვზე ზეწოლის შემთხვევაში ამ მიმართულებით შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

სპეციალისტი უსაფრთხოების საკითხებში ალექსანდრ ვერშბოუ აღნიშნავს, რომ პირველად 2014 წლიდან მოყოლებული, კრემლი ეძებს საშუალებას, დატოვოს აღმოსავლეთი უკრაინა. თუ ყირიმის ანექსიამ პუტინს შიდაპოლიტიკური სარგებელი მოუტანა, იმავეს თქმა შეუძლებელია დონბასზე. პროექტი „ნოვოროსია“ რუსეთს არ გამოუვიდა. აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპაციამ უფრო განამტკიცა უკრაინელების ეროვნული იდენტობა, ვერ შეაფერხა რეფორმები და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რეალიზაცია. პუტინმა დაასკვნა, რომ ადვილი არ არის ტრანსატლანტიკური ერთობის დარღვევა.

ვერშბოუს თქმით, კრემლი იმასაც ხვდება, რომ რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს ტყუილუბრალოდ არავინ გააუქმებს. ამიტომ, იგი მიდგომებს იცვლის, ცდილობს, ნაკლები დანაკარგი ჰქონდეს. სექტემბერში მან გამოთქვა ამ რეგიონში სამშვიდობოების განლაგების წინადადება.

ექსპერტის აზრით, ამ ეტაპზე სასწორზე დგას არა მხოლოდ უკრაინის, როგორც დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენარჩუნება, არამედ, მსოფლიო წესრიგის ბედი.

ალექსანდრ ვერშბოუ დადებითად აფასებს იმას, რომ დონალდ ტრამპმა მოსკოვთან ურთიერთობების გადატვირთვას უკრაინა არ შესწირა, მისმა ადმინისტრაციამ კი შეიმუშავა სტრატეგია, რომელმაც დონბასის პრობლემის დიპლომატიურ გადაწყვეტამდე უნდა მიგვიყვანოს. მასზე პასუხისმგებლობა გამოცდილ დიპლომატს, კურტ ვოლკერს დაეკისრა.

ექსპერტი აცხადებს, რომ ეს სტრატეგია წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ თავის სიძლიერეს, პრინციპებს და მოკავშირეებთან ერთიანობას შეინარჩუნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თეთრმა სახლმა კრემლი ყირიმის ანექსიის გამოც უნდა აკრიტიკოს და მოითხოვოს მისი დაბრუნება უკრაინის შემადგენლობაში.

უკრაინაში დონბასის დაბრუნებას მინსკის შეთანხმებებიც გულისხმობს. აშშ-მ ამ მხრივ უნდა გააქტიუროს ზეწოლა რუსეთზე.

ალექსანდრ ვერშბოუს სიტყვებით, ჯერჯერობით გაურკვეველია, პუტინი დონბასში უკრაინის სუვერენიტეტის აღდგენას დათანხმდება თუ კონფლიქტის გაყინვას და იქ დნესტრისპირეთის მსგავსი მარიონეტული წარმონაქმნის ფორმირებას.

მისი ვარაუდით, საბოლოო გადაწყვეტილებას ამაზე პუტინი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, 2018 წელს მიიღებს.

# „ლაღიძის წყალი“: „ბაზარზე კონკურენციას უხარისხო ლიმონათები გვიწევენ“



— „ლაღიძის წყალმა“ დროს გაუძლო და ეს ხარისხისა და ნატურალური პროდუქციის წარმოების ხარჯზე მოხდა“, — ამის შესახებ „კომერსანტს“ „ლაღიძის წყლის“ დირექტორმა გიორგი ჯოჯუამ განუცხადა. მისივე თქმით, ამჟამად „ლაღიძის წყლებს“ მხოლოდ ერთი საწარმო აქვს და ბიზნესი ამ ეტაპზე სტაბილურად ვითარდება.

„კომერსანტის“ კითხვაზე, თუ როგორ გაუძლო „ლაღიძის წყლებმა“ დროს, ჯოჯუა აცხადებს, რომ ეს ხარისხისა და ნატურალური პროდუქციის წარმოების ხარჯზე მოხდა.

კომპანიის დირექტორის თქმით, „ლაღიძის წყლის“ ფილიალი 2013 წელს სამების ეზოში გაიხსნა (ეს 2005 წლის შემდგომ (რუსთაველის ქუჩაზე) ეს პირველი ფილიალი იყო). მომდევნო ფილიალი ვაკესა და განახლებულ აღმაშენებელზე გაიხსნა.

— თუმცა თავდაპირველად აღმაშენებლის ქუჩაზე, ფართზე საკმაოდ დიდი თანხა იყო გადასახდელი და ეს ბიზნესის განვითარებაში ხელს გვიშლიდა. შემდგომ ფასების რეგულირება მოხდა და ჩვენც ფართის აღება უპრობლემოდ შევძელით.

„ლაღიძის წყალმა“ დროს გაუძლო და ეს ხარისხისა და ნატურალური პროდუქციის წარმოების ხარჯზე მოხდა. მას არ აქვს ქიმიური დანამატები და ის ბავშვებისთვისაც უსაფრთხოა, — აღნიშნა ჯოჯუამ.

„ლაღიძის წყლის“ ხელმძღვანელის თქმით, ამჟამად ბაზარი უხარისხო ლიმონათებითაა გაჯერებული, რომლის საფასო პოლიტიკაც დაბალია.

— ჩვენი წყლები კი ბუნებრივი მეთოდოლოგიით მზადდება და მისი საფასო პოლიტიკაც შედარებით მაღალია. ბაზარზე ჩვენ კონკურენციას უხარისხო ლიმონათები გვიწევენ. რეალურად „ლაღიძის წყალს“ კონკურენტი არ ჰყავს. მსგავსი დონის პროდუქციას დღეს არავინ ქმნის, — აცხადებს ჯოჯუა.

რაც შეეხება კომპანიის სამომავლო გეგმებს, გოგი ჯოჯუა აცხადებს, რომ გაფართოება როგორც თბილისის, ასევე დიდი ქალაქების მასშტაბით იგეგმება.

— გაზაფხულისთვის საბურთალოზე გაფართოებას ვაპირებთ და ამჟამად უკვე ფართის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს. ასევე გვსურს დიდ ქალაქებში გასვლაც და ძირითად აქცენტს ბათუმსა და ქუთაისზე ვაკეთებთ. ვთლი, რომ გაზაფხულზე ამ ორ ქალაქში ჩვენ ფილიალს გავხსნით. ამჟამად თბილისში, ბათუმსა და ქობულეთში რამდენიმე კაფეში ჩვენი სიროფის შეტანა ხდება. მუდმივად ვცდილობთ, ეს პროცესი ვაკონტროლოთ და ამ კაფეებმა ხარისხიანი პროდუქცია აწარმოონ, — განმარტა გოგი ჯოჯუამ.

# ირინა მილორავა: „ერთი თვის ლარის კურსი დენის ტარიფზე გავლენას ვერ მოახდენს“



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ირინა მილორავას განმარტებით, სემეკი ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფს ერთი კონკრეტული თვის გაცვლითი კურსით არ ითვლის. ამის შესახებ მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ „საქმის კურსს“ ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურების ფაქტორზე საუბრისას განუცხადა.

– ჩვენ, როგორც წესი, ვუყურებთ საშუალო კურსს და ხვალ რაც არ უნდა მოხდეს, ზუსტად ვიცით, რომ 2017 წლის განმავლობაში საშუალო კურსი იყო 2.5-ის (1 აშშ დოლარი 2.5 ლარი ღირს) დონეზე. ამის გათვალისწინებით, კონკრეტული ერთი თვის კურსი არსებით გავლენას ტარიფზე ვერ მოახდენს. ჩვენ ისევ ავიღებთ იმ კურსს, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში. თუ ბიუჯეტის კანონი არ იქნა იმ დროისთვის, პროექტით გათვალისწინებულ კურსს ავიღებთ. რა თქმა უნდა, ლარის კურსს ტარიფზე გავლენა აქვს და ეს 2015 წელს გამოჩნდა, მაგრამ მაშინ ცვლილება ძალიან არსებითი იყო – 1.65 ლარიდან გადავთვალეთ ტარიფი 2.4-ის დონეზე, – განმარტა ირინა მილორავამ.

მისივე თქმით, სამომხმარებლო ტარიფის ფორმირებაზე განსაკუთრებული გავლენა კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას აქვს.

– ეს არის კაპიტალტევადი საწარმოები და, შესაბამისად, კაპიტალური დანახარჯების წილი ამ ტარიფში ძალიან მაღალია, – აღნიშნა მან.

გარდა ამისა, ტარიფზე ელექტროენერგიის მოხმარების ზრდაც აისახება.

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოხმარების ზრდას და იგი გავლენას ახდენს როგორც განაწილების ტარიფზე, ისე ელექტროენერგიის, როგორც პროდუქტის ღირებულებაზე – როცა მოხმარება იზრდება, განაწილების ტარიფი მცირდება, მაგრამ გაზრდილი მოხმარება, ძვირიანი ელექტროენერგიის შესყიდვას ნიშნავს, ამდენად ამ კომპონენტს აქვს ორმხრივი ეფექტი, – განმარტა სემეკის თავმჯდომარემ.

მარეგულირებელ კომისიას „თელასისა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისთვის სამომხმარებლო ტარიფების დასადგენად ვადა 2017 წლის 31 დეკემბრამდე აქვს. მანამდე კომისია ელექტროენერგიის გენერაციის ობიექტების წარმოების ტარიფსაც ანგარიშობს. 31 ოქტომბერს ცნობილი გახდა „ინტერ-რაოს“ ელექტროსადგურების – „ხრამჰესი 1“-ისა და „ხრამჰესი 2“-ის წარმოების ტარიფებიც, რაც გაიზარდა. მანამდე კი თბოსადგურების ტარიფები გახდა ცნობილი. მათი წარმოების ტარიფები შემცირდა.

– ჩვენ თბოსადგურების ტარიფები შარშან დავთვალეთ კურსზე, როცა 1 აშშ დოლარი 2.78 ლარი ღირდა. ეს ზუსტად დეკემბრის კურსი იყო, რაც ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან თბოსადგურები ზამთრის თვეებში მუშაობენ და აბსოლუტურად ლოგიკური იყო, რომ მაღალი კურსი აგვეღო. წელს ხელახლა გადავიანგარიშეთ თბოსადგურების ტარიფი და ის მეტობა, რაც მან დააგროვა გასული პერიოდის განმავლობაში, ტარიფით უკან წამოვიღეთ და ახალი ტარიფი უკვე დადგენილია 2.5 ლარზე, – განაცხადა ირინა მილორავამ.

სემეკში ელექტროენერგიის გარდა, წყალმომარაგების სამი ლიცენზიანტის სატარიფო განაცხადზეც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და წლის ბოლომდე ახალი სამომხმარებლო ტარიფები ამ სექტორშიც გახდება ცნობილი.

– ახლა დეპარტამენტი წარმოდგენილი სატარიფო განაცხადების ანალიზს აკეთებს. ძალიან მალე დაიწყება სამუშაო შეხვედრები კომპანიებთან, სადაც გავივლით ყველა შეკითხვას, რომელიც ამ მუშაობის პერიოდში გამოიკვეთება და ალბათ, ნოემბრის შუა რიცხვებიდან დავიწყებთ სატარიფო განხილვებს საჯარო სხდომებზე, – განაცხადა სემეკის თავმჯდომარემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში საყოფაცხოვრებო სექტორში საფეხურებრივი ტარიფი მოქმედებს. დღევანდელი მოცემულობით, „თელასის“ აბონენტები 0-დან 101 კვტ.სთ-ის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგიისთვის, ყოველ კილოვატზე 12.98 თეთრს იხდიან, 101-დან 301-ის ჩათვლით – 16.992 თეთრს, 301 კვტ.სთ-დან კი 21.476 თეთრს. რაც შეეხება „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებს, 0-დან 101 კვტ.სთ-ის ჩათვლით ელექტროენერგიის მოხმარებისთვის ისინი 12.954 თეთრს იხდიან, 101-დან 301-ის ჩათვლით – 16.931 თეთრს, 301 კვტ.სთ-დან კი 21.450 თეთრს.

# არჩილ მესტვირიშვილი: „ფულის მასის ზრდას ლარის გაუფასურებასთან კავშირი არ აქვს“



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ არჩილ მესტვირიშვილის განცხადებით, ფართო ფულის მასის ზრდას ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან კავშირი არ აქვს.

- ჩვენ გვაქვს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი და ასეთი რეჟიმის დროს ფულის მასა არ იძლევა ინფორმაციას არც მონეტარული პოლიტიკის მიმდინარე მდგომარეობის, არც მომავალი მდგომარეობის და არც კურსის შესახებ. იმიტომ, რომ კორელაცია ფულის მასასა და ინფლაციას შორის ირღვევა. ამიტომ ფულის მასაზე ყურება არ მოგვცემს საჭირო ინფორმაციას. ფულის მასას ვუყურებთ მოკლევადიან პერიოდში ლიკვიდობის მართვისთვის. ახლა სხვა დატვირთვა ფულის მასას არ აქვს. ასევე, შეგვიძლია ფულის მასას შევხედოთ გრძელვადიან პერიოდში თუ შესაბამის შესწორებას მივუსადაგებთ ფულის მულტიპლიკატორისთვის. თუმცა ფულის მასის ყურებას პრაქტიკული გამოყენება არ აქვს, – განაცხადა მესტვირიშვილმა.

მისი თქმით, ბევრი ცენტრალური ბანკი საერთოდ არ აქვეყნებს ფულის მასის შესახებ ინფორმაციას, თუ მონეტარული თარგეთირების რეჟიმი არ აქვთ.

– ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს ფულის მასისთვის ყურებას, რომ ამით ავხსნათ კურსი, არავითარი ინფორმაციული დატვირთვა არ აქვს, რადგან თქვენ ნახავთ პერიოდებს, როც ფულის მასა მცირდებოდა, მაგრამ კურსი უფასურდებოდა და ასევე ნახავთ პერიოდებს, როცა ფართო ფული იზრდებოდა და კურსი მყარდებოდა. აქედან გამომდინარე, ფულის მასის ყურებით არასწორ დასკვნებს გამოვიტანთ და ჩვენი რჩევაა, ამას ზედმეტ ყურადღებას ნუ მივაქცევთ, – აღნიშნა მესტვირიშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ რა იწვევს ფართო ფულის მასის გაზრდას, როგორც მესტვირიშვილმა თქვა, მართალია, ნაღდი ფულის მასის ზრდას სჯობს, ელექტრონული ფული იზრდებოდეს, მაგრამ ჯამურად ვერ ვიტყვით, რომ ნაღდი ფულის ზრდა არის ცუდი.

მისი ინფორმაციით, ნაღდი ფული განსაკუთრებით იზრდება საქართველოს რეგიონების ხარჯზე ანუ რეგიონებში მოსახლეობა ამჯობინებს ნაღდი ფულის ფლობას.

# პირველი მატარებელი ბაქოდან თბილისის გავლით ყარსში 40 საათში ჩავიდა



3 ნოემბერს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გავლით პირველი სატვირთო მატარებელი ყარსში ჩავიდა. მატარებელმა აზერბაიჯანიდან ყარსში ჩასვლას დაახლოებით 40 საათი მოანდომა.

ამის შემდეგ მატარებელმა ყარსი დატოვა და თურქეთის სამხრეთისკენ მერსინის მიმართულებით დაიძრა. აღნიშნული გზის გავლას იგი დაახლოებით 40 საათს მოანდომებს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გავლით პირველი ტვირთი 24 ოქტომბერს ყაზახეთის სადგურიდან გაემგზავრა. ხორბლით დატვირთული მატარებელი 32 კონტეინერისგან შედგებოდა.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ბაქოში 30 ოქტომბერს ოფიციალურად გაიხსნა. საზეიმო ცერემონიაში ხუთი ქვეყნის ლიდერმა მიიღო მონაწილეობა: აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა, ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა ბაკიტჟან საგინტაევმა და უზბეკეთის პრემიერ-მინისტრმა აბდულა არიპოვმა.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს დაიწყო, მშენებლობა კი – 2008 წელს.

# საარსებო მინიმუმი დღევანდელზე ორჯერ მეტი მაინც უნდა იყოს

## რატომ არ იცვლება საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია?

საარსებო მინიმუმი არის ფულადი სახსრების მინიმუმი, რომელიც ადამიანს ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად სჭირდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2004 წლიდან საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/ნ ბრძანების მიხედვით არის დადგენილი. ფაქტია, რომ საარსებო მინიმუმის ცნება საქართველოში მუდმივი კრიტიკის საგანია.

უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს მაჩვენებელი რეალობას არ შეესაბამება, მიუხედავად იმისა, რომ საარსებო მინიმუმის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. მაგალითად: 2004 წლის დასაწყისში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 82,5 ლარი იყო, ხოლო საშუალო ოჯახისა – 138,4 ლარი.

2010 წელს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 128 ლარს გაუტოლდა, ხოლო საშუალო ოჯახისა 214,7 ლარი გახდა.

მიმდინარე წლის სექტემბრის მონაცემებით კი, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 168,8 ლარია, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი – 283,2 ლარი.

თუ ამ მაჩვენებელს ევროპის მოწინავე ქვეყნებს შევადარებთ, ჩვენი მდგომარეობა მათთან შედარებით საკმაოდ რთულია, მაგალითად: ლუქსემბურგში მინიმალური შემოსავალი თვეში 1.922,96 ევროა, ბელგიასა და ნიდერლანდებში – 1.501 ევრო, ირლანდიაში – 1.461,85 ევრო, საფრანგეთში – 1.457,52 ევრო.

რაც შეეხება ჩვენს რეგიონს, აზერბაიჯანში საარსებო მინიმუმი საშუალოდ 133,93 დოლარია, სომხეთში – 94,74 დოლარი, უკრაინაში – 77,24 დოლარი, ხოლო რუსეთში – 98,72 დოლარი. ჩვენთან შედარებით მაღალია საარსებო მინიმუმი ბელორუსშიც – ის საშუალოდ 140,08 დოლარს უტოლდება.




* * *

ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე მიიჩნევს, რომ საარსებო მინიმუმის საკითხი საქართველოში ვერა და ვერ გადაწყდა.

– საარსებო მინიმუმის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია მაგონებს ცნობილ ქართულ ფილმს, რომლის გმირიც წამდაუწუმ იხვეწება – „გაიტანეთ გრენლანდია“, მაგრამ სურათი არავის გააქვს. ეკონომისტები უკვე რა ხანია ვიმეორებთ, რომ მისი დათვლის მეთოდოლოგია მოძველებულია, მაგრამ წლები გადის და მდგომარეობა არ იცვლება. ჩვენს პოლიტიკოსებს მისი შეცვლის აუცილებლობა მარტო წინასაარჩევნო პერიოდში ახსენდებათ, მაგრამ როგორც კი არჩევნები დასრულდება, დადებულ პირობას ყველა ივიწყებს, – აღნიშნავს ეკონომიკის ექსპერტი.

სოსო არჩვაძის თქმით, საარსებო მინიმუმი დღევანდელზე ორჯერ მეტი მაინც უნდა იყოს.

– თუ დღევანდელი ფასებისა და სიტუაციის მიხედვით დავიანგარიშებთ, საარსებო მინიმუმი 300-350 ლარი მაინც უნდა იყოს. ჩვენთან სამომხმარებლო ხარჯების 32% სურსათზე მიდის, საფრანგეთში კი – მხოლოდ 7,4% . ჩვენი მოსახლეობა სურსათზე უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე სხვა საჭიროებებზე. ამ მხრივ არა მარტო ევროპის ქვეყნებს, არამედ დსთ-ის ქვეყნებსაც ჩამოვრჩებით. ეს ნაწილობრივ იმის ბრალიცაა, რომ საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიის შეცვლას საშველი არ დაადგა, – აცხადებს ექსპერტი.

ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათია კი მიიჩნევს, რომ მართალია საარსებო მინიმუმი საქართველოში იზრდება, მაგრამ ეს ინფლაციის გავლენით ხდება.

– განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონე მაღალია, საარსებო მინიმუმის ცნება აქტუალური სულაც არ არის, იქ მინიმალური ხელფასის ცნებაა გამოყენებული. გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და სხვა მოწინავე ქვეყნებში საარსებო მინიმუმს არ ანგარიშობენ, რადგან იქ მინიმალური ხელფასის და საარსებო მინიმუმის ცნებები გაიგივებულია. ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში ასეულობით ევროს და დოლარს უტოლდება. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი საარსებო მინიმუმის ცნება კვლავაც გამოიყენება, რადგან დსთ-ის ქვეყნებში ცხოვრების დონე შედარებით დაბალია. ეს არ არის რეალური საარსებო მინიმუმი, რომელიც ადამიანის მინიმალურ საჭიროებებს უზრუნველყოფს, – აცხადებს ირაკლი მაკალათია.

მისი თქმით, ჩვენი საარსებო მინიმუმის 70% სასურსათო კალათაზე იხარჯება, ხოლო 30% – არასასურსათო კალათაზე.

– ეს იმიტომ ხდება, რომ საარსებო მინიმუმს მოძველებული მეთოდოლოგიით ითვლიან. ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შეძენას, კომუნალურ გადასახადებს, კულტურულ ღონისძიებებს ჩვენს ხარჯებში 30% უკავია, რაც საკმაოდ მცირე ხვედრითი წილია. საარსებო მინიმუმს სხვა განვითარებად ქვეყნებშიც ითვლიან, მაგრამ სულ სხვა მეთოდოლოგიით. თანაც, საარსებო მინიმუმი ჩვენთან არანაირ სოციალურ პაკეტთან არ არის მიბმული – არც მინიმალურ ხელფასთან, არც პენსიებთან, არც დახმარებებთან და არც სიღარიბის დონესთან. ეს შემთხვევითი სულაც არ არის, რადგან ახალი მეთოდოლოგიით დათვლილი საარსებო მინიმუმი აუცილებლად გაიზრდება – დაახლოებით, ორჯერ და უფრო მეტადაც. ხელისუფლებაც იძულებული იქნება, პენსიები, სოციალური დახმარებები და სხვა სოციალური პაკეტები გაზარდოს.

ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავრობა ასეთი ცვლილებებისთვის მზად არ არის, ამიტომ არ იცვლება საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია საქართველოში, – აღნიშნა ირაკლი მაკალათიამ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას.

**ბიპიენი**

# 2019-2020 წლებში პენსია 20-20 ლარით გაიზრდება



ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, საქართველოში 2019-2020 წლებში პენსია 20-20 ლარით გაიზრდება.

როგორც პარლამენტის 3 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ქუმსიშვილმა განაცხადა, ძალიან მალე საქართველოს პარლამენტში საპენსიო რეფორმის თაობაზე კანონპროექტი შევა.

– მნიშვნელოვანი განცხადება მინდა გავაკეთო პენსიებთან დაკავშირებით, მათ შორის, პენსიების ინდექსაციასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, რომ ძალიან მალე საქართველოს პარლამენტში შემოვა საპენსიო რეფორმის კანონი. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს გამიზნული, რომ აღნიშნულ კანონში იქნება საბაზისო პენსიაზე ინდექსაციის ჩანაწერი.

თუმცა, ვიდრე ჩვენ ინდექსაციის ჩანაწერს განვიხილავთ, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ეს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში მიმდინარე ხარჯების ნაწილში წარმოდგენილიც იყო, როდესაც ჩვენ საშუალოვადიანი ბიუჯეტი წარმოვადგინეთ, რომ 2019 და 2020 წელს ინდექსაციის მეთოდით 2019 წელს – 20 ლარით და 2020 წელს – 20 ლარით გაიზრდება პენსიები, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

# „უშიშროებას ეჭვი აქვს, რომ არ დავკარგულვარ“

## რას წერდნენ დაკარგული გიორგი ნანეტაშვილის სახელით მის ოჯახს



„ინტერპრესნიუსმა“ 2016 წლის აგვისტოში, გონიოში, ზღვაში, წვრთნების დროს გაუჩინარებული სამხედროს სახელით დაწერილი ერთ-ერთი წერილი მოიპოვა, რომელიც თაღლითობის ბრალდებით დაკავებულებმა ჯარისკაცის ოჯახს გაუგზავნეს.

დაკარგული სამხედროს, გიორგი ნანეტაშვილის ოჯახისთვის ფულის თაღლითურად გამოძალვის ბრალდებით 3 ადამიანია დაკავებული. ექსპერტიზის დასკვნით, წერილებს მხოლოდ ერთი ბრალდებული წერდა, რაც კალიგრაფიული ექსპერტიზით დადასტურდა.

წერილში ბრალდებული პირი გიორგი ნანეტაშვილის სახელით ჯარისკაცის ოჯახს წერს, რომ სხვისი კუთვნილი 39 ათასი დოლარი დახარჯა და სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თანხა. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ მას საქართველოში არ დაედგომებოდა და ქვეყანაში რომ დარჩენილიყო, აუცილებლად მოკვდებოდა.

„სალამი ყველას! კარგად ვხვდები, ჩემს გამო რაც გადაგხდათ. ვიმყოფები თურქეთის ძაან მიყრუებულ ადგილას. საქმეები კარგად მოვაგვარე. ახალი საბუთები მაქვს. მანდ არ ჩამომესვლება. სამუდამოს მომისჯიან. ერთი სიტყვა არავის არ უთხრათ ჩემს შესახებ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. მანდ რომ დავრჩენილიყავი, მკვდარი ვიქნებოდი. ძალიან დამეხმარა ერთი ქართველი. დაქირავებულ ჯარშიც გამიფორმა საბუთები. 1 წლის მანძილზე 80.000 $ იძლევიან, საწყობში ვიქნები, თან რუსული პასპორტით, რუსეთში ცხოვრება გარანტირებული მაქვს, პრობლემა შემექმნა. ადამიანს, რომელიც დამეხმარა, მამასავით მედგა გვერდზე, მას ვუღალატე და მისი ახლობლისთვის განკუთვნილი 39.000 $ მოვხსენი ბანკიდან და დავხარჯე ჩემი საბუთების და ბინის და კვებისათვის. ახლა მომაგნო და არ ვიცი რა ვქნა. 7 დღეში როგორც გინდა იშოვნე და ჩარიცხე ისე, რომ ხმა არ ამოიღო არასდროსო. ამ კაცმაც რა ქნას. მართლა, გთხოვ იქნებ 1 წლით მისესხო და 80.000 რომ ავიღებ, სულ ყველას, 5.000 გარდა თქვენ მოგცემთ.

ბოდიშს ვიხდი ჩემი კარნახით წერს ჩემი თურქი ქართველი მეგობარი. არ მინდა ვინმემ ჩემი ხელწერა იცნოს. ჩემს სახელსაც იმიტომ არ ვახსენებ და არც ჩემებს, რადგან შეიძლება უშიშროება ჩემზე მუშაობდეს. მე გავიგე, რომ მათ ეჭვები აქვთ, რომ არ დავკარგულვარ“, – წერს ერთ-ერთი დაკავებული, რომელიც გამოძიების ინფორმაციით, თავს გიორგი ნანეტაშვილად ასაღებდა.

წერილში ასევე მითითებულია ანგარიშის ნომერი, სადაც ფული უნდა ჩარიცხულიყო.

„ყველა მომიკითხე. ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნით ყველას. ეს სასწრაფოა. ბანკის ნომერი ამოიწერე და წერილი დაწვი. როცა დავრწმუნდები არ მითვალთვალებენ, ყველას დაგიკავშირდებით. მხოლოდ ეს მაქვს პრობლემა, დანარჩენი კარგად ეწყობა. 10 დღეში ჯარში წავალ, თუ ეს თანხა გადავიხადე“, – ნათქვამია წერილში.

***

2016 წლის 16 აგვისტოს, გონიოს ყოფილი სასროლეთის ტერიტორიაზე, შავ ზღვაში მიმდინარე წვრთნის დროს, ორი სამხედრო მოსამსახურე, კაპრალი იაგო შარაძე და I კლასის რიგითი გიორგი ნანეტაშვილი გაუჩინარდნენ. სამხედროების პოვნა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

შემთხვევიდან რამდენიმე თვეში, ერთ-ერთი დაკარგული სამხედროს, გიორგი ნანეტაშვილის სახელით, მისმა ოჯახმა ოთხი წერილი მიიღო, რომელშიც თითქოს მათი დაკარგული შვილი ფულს ითხოვდა. თავდაცვის სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი გამოძიების შედეგად თაღლითობის საქმე 2017 წლის აპრილში გაიხსნა და სამართალდამცველებმა თაღლითობის მცდელობის ბრალდება სამ პირს წაუყენა. ამ დროისთვის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითად განიხილება.

# „შსს-ს ჟურნალისტმა მკითხა, იღებდა თუ არა პავლიაშვილი ფსიქოტროპულ მედიკამენტებს, ვუპასუხე, კი-მეთქი“

## ნუცუბიძეზე მომხდარი შემთხვევის მთავარი მოწმე ნოდარ შანიძე პროკურატურამ დაკითხა

3 ნოემბერს ნუცუბიძის ქუჩაზე, პაატა პავლიაშვილის გარდაცვალების საქმეში ერთ-ერთი თვითმხილველი ნოდარ შანიძე პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდა.

დაკითხვის შემდეგ მან ადგილზე შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გამომძიებლების კითხვები შეეხებოდა კონფლიქტს მასა და გიორგი კოპალიანს შორის.

– მე ჩხუბი მომივიდა გიორგი კოპალიანთან, ყველამ იცის, რომ ის ლოთია. გიორგი კოპალიანის გამო არაერთხელ მოსულა უბანში პატრული, – განაცხადა ნოდარ შანიძემ.

რაც შეეხება პავლიაშვილის გარდაცვალების ღამეს მის მიერ გაკეთებულ განცხადებას, მოწმე ამბობს, რომ „ფსიქოტროპული მედიკამენტების შესახებ საუბარი შს სამინისტროს ჟურნალისტის მხრიდან წამოვიდა“.

– მკითხეს, იღებდა თუ არა ფსიქოტროპულ მედიკამენტებსო და ვუპასუხე, კი-მეთქი, – აღნიშნა შანიძემ.

ნოდარ შანიძე ამბობს, რომ პაატა პავლიაშვილის მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღების შესახებ 25 ოქტომბერს, ინციდენტის დღეს გაიგო. მისივე თქმით, ის, რომ პაატა პავლიაშვილი იღებდა მედიკამენტებს, გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე თავად პავლიაშვილმა განუცხადა.

– მე სიტყვა „ფსიქოტროპული“ გავიგე 25 ოქტომბერს, რას გადაეკიდეთ ამ წამლებს, ხანდახან მეც ვსვამ წამლებს ხოლმე. როდესაც შსს-ს მივეცი ინტერვიუ, იყო კითხვა-პასუხის რეჟიმი, ისინი მეკითხებოდნენ, შემდეგ ჩართავდნენ კამერას, სადაც ვპასუხობდი. ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე მათ მკითხეს, ეს მე კი არ მომიგონია, მათი მხრიდან წამოვიდა საუბარი, იღებდა თუ არა მედიკამენტებსო და მე ვუთხარი კი-მეთქი, – განაცხადა ნოდარ შანიძემ.

ცნობისთვის, სწორედ შანიძის ვიდეო გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სადაც შანიძე ყვებოდა, რომ გარდაცვლილი დამოკიდებული იყო ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე.

***

– ნუცუბიძეზე პაატა პავლიაშვილის გარდაცვალებისა და ჩხუბის საქმეები ერთად არის, თუმცა გამოძიებამ, შესაძლოა, ეს საქმეები გამოყოს ერთმანეთისგან.



ამის შესახებ ნოდარ შანიძის ადვოკატმა მუხრან ღურწკაიამ მისი კლიენტის გამოკითხვის შემდეგ განაცხადა.

როგორც ადვოკატმა განმარტა, დაკითხვა არ ეხებოდა პაატა პავლიაშვილის გარდაცვალების საქმეს. მისივე თქმით, კითხვები შეეხებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის, ნოდარ შანიძისა და კონფლიქტში მონაწილე მეორე პირის, გიორგი კოპალიანის საქმეს.

– კითხვები შეეხებოდა იმას, თუ რა მოხდა 25 ოქტომბერს, ვინ მიაყენა ნოდარ შანიძეს შეურაცხყოფა და რა დაზიანებები მიიღო მან. ამჟამად, გარდაცვალების საქმე და ჩხუბის საქმე ერთად არის, თუმცა გამოძიებამ, შესაძლოა, გამოყოს ეს საქმეები. ჩემი ვარაუდით და იმ ინფორმაციით, რაც გამოძიებას აქვს, ნოდარ შანიძე ვერ იქნება ბრალდებული ჩხუბთან დაკავშირებით, რადგან, როგორც ის განმარტავს, აქეთ მიაყენეს შეურაცხყოფა და მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია, – განაცხადა მუხრან ღურწკაიამ.

# გიორგი სოზაშვილი: „ჩემი ბიზნესი შსს-ს მაღალჩინოსანმა, სოსო სიგუამ მიითვისა“

„სალვუს დეველოპმენტის“ დამფუძნებელი ირწმუნება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა მას ზეწოლით ნუცუბიძის ფერდობზე მშენებარე ობიექტი გადააფორმებინეს.

ბიზნესმენმა შსს-ს მაღალჩინოსანი სოსო სიგუა მისი ბიზნესის მითვისებაში ღიად დაადანაშაულა.

უფრო კონკრეტულად საქმე ეხება „სალვუს დეველოპმენტის“ ერთ-ერთ შვილობილ კომპანიას „სალვუს საბურთალოს“.



- 14 მარტს ერთ-ერთი ჩვენი კომპანია თაღლითურად მიითვისეს, თაღლითურმა ჯგუფმა, რის შესახებაც განვაცხადეთ ჩვენ შესაბამის უწყებებში და დღემდე არანაირი რეაგირება არ არის არავის მხრიდან. ამ ყველაფრის, ამ ჯგუფის უკან დგას მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ბატონი სოსო სიგუა. ჩემმა იურისტმა მინდობილობის საფუძველზე, რომელიც ჩვენ გვქონდა მიცემული მინდობილობა, რომ ხელი მოეწერა, გამოიყენა ბოროტად და გადაიფორმა თავის სახელზე ერთ-ერთი კომპანია, რომელზეც მეორე დღეს ცდილობდა, რომ გაესხვისებინა 100 ლარად მესამე პირზე, – განაცხადა სალვუს დეველოპმენტის“ მფლობელმა გიორგი სოზაშვილმა.

**ნიუპოსტი**

# ჭაჭის უაქციზოდ რეალიზაციისთვის ერთი პირი დააკავეს



ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვისა და რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაციის ფაქტზე ერთი მეწარმე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალაქ თბილისში მის კუთვნილ საწარმოში ჩამოსხმული ალკოჰოლური სასმელის – ჭაჭის არყის რეალიზაციას შესაბამისი აქციზური მარკის გარეშე ახდენდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია უაქციზო სასმელი, რომლის საბაზრო ღირებულება ჯამში 5.620 ლარს შეადგენს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თბილისის შემოსასვლელთან სპეცოპერაცია ჩატარდა

2 ნოემბერს, გვიან ღამით, თბილისის შემოსასვლელთან სპეცოპერაცია ჩატარდა. მერსედესის მარკის ავტომობილის ჩხრეკისას კრიმინალურმა პოლიციამ საბრძოლო მასალა ამოიღო. სპეცოპერაციის დროს 30 წლამდე კაცი დააკავეს, რომელსაც ავტომობილით ე.წ „აბრეზი“, F1 ტიპის ხელყუმბარა, დანა და რამდენიმე ვაზნა გადაჰქონდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**სითხე მენტორი — 4**

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

**☎ 599-73-48-21**

# ალექსანდრე ზახარჩენკო: „დონბასის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა შეუძლებელია“








აშშ უკრაინას მხარს უჭერს. ეს ტრამპის სპეცწარმომადგენლის კურტ ვოლკერის უკრაინაში ვიზიტისას ნათლად გამოჩნდა. ვოლკერმა მთლიანად დაუჭირა მხარი დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების კიევის სქემით განთავსებას.

ამას კრემლის აღშფოთება მოჰყვა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა:

— აშშ-ს დონბასის ოკუპაცია სურს!

მოსკოვის ტონი ბევრად უფრო კატეგორიული გახდა, თუმცა ამან ვაშინგტონზე არ იმოქმედა. აშშ-ის ყოფილმა ელჩმა უკრაინაში სტივენ პაიფერმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარს უჭერს.

პაიფერმა თავის ინტერვიუში რიგი დეტალი გაასაჯაროვა. მან თქვა, რომ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მხარს ტრამპის ადმინისტრაციის ყველა გავლენიანი წარმომადგენელი ემხრობა. მათ შორის მან განსაკუთრებით თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი გამოყო, რომელიც უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების მხურვალე მომხრეა.

—— ახლა გადამწყვეტი სიტყვა ტრამპზეა! — ამბობს პაიფერი.

ამრიგად, აშშ უკრაინისადმი მხარდაჭერას განაგრძობს. ამან კი რუსეთისათვის ფრიად არახელსაყრელი საერთაშორისო ფონი შექმნა. დონბასელ სეპარატისტთა ლიდერმა ზახარჩენკომ თავის ინტერვიუში ეს გულახდილად თქვა. შეკითხვაზე, დონბასი რუსეთის შემადგენლობაში როდის შევაო, მიუგო:

— სამწუხაროდ, ამ ეტაპზე დონბასის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა შეუძლებელია!

სეპარატისტების ლიდერმა გამოთქვა იმედი, რომ მალე საერთაშორისო არენაზე ძალთა განლაგება მოსკოვის სასარგებლოდ შეიცვლება, დონბასის შესვლაც რუსეთის შემადგენლობაში უახლოეს მომავალში იქნება შესაძლებელი. ზახარჩენკო არაკორექტულ გამოთქმებსაც არ მოერიდა, თუმცა მაინც მოუხდა იმის აღიარება, რომ უკრაინამ ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა შეძლო:

— უკრაინელებმა ვერ მოახერხეს თუნდაც იმ ფასადური რეფორმების გატარება, რაც სააკაშვილმა საქართველოში გაატარა! სამაგიეროდ, ბრძოლა ისწავლეს! სიმართლეს ვერ გაექცევი: უკრაინელებს არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი ტრადიციები, მაგრამ მაგარი მეომრები არიან! — თქვა ზახარჩენკომ.

სეპარატისტების ლიდერმა დაუფარავი გულისტკივილით შენიშნა, რომ რუსეთმა უკრაინული ნაციონალიზმის საფრთხე დროზე ვერ გააცნობიერა. მისი აზრით, უკრაინის ფედერალიზაციის საკითხი ჯერ კიდევ 1986-88 წლებში უნდა გადაწყვეტილიყო. ზახარჩენკო მიიჩნევს, რომ იანუკოვიჩის დამხობისთანავე რუსეთს არა მხოლოდ ყირიმი, არამედ უკრაინის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უნდა დაეკავებინა. ეს არ გაკეთდა. ასევე არ გაძლიერდა უკრაინაზე ზეწოლა. უკრაინაც რუსეთისთვის უდიდეს თავის ტკივილად გადაიქცა.

— ვაშინგტონმა უკრაინისგან ანტირუსული ფორპოსტი შექმნა. მის დასაძლევად საერთაშორისო კლიმატის შეცვლაა აუცილებელი! იმედი მაქვს, რომ მალე საერთაშორისო არენაზე ძალთა განლაგება რუსეთის სასარგებლოდ შეიცვლება, — ამბობს ზახარჩენკო.

## ტრამპი ტერორისტის სიკვდილით დასჯას მოითხოვს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტერორისტ საილოვის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. როგორც ცნობილია, საილოვმა მანჰეტენზე ტერაქტი განახორციელა და არაერთი უდანაშაულო ადამიანი შეიწირა.

— მკვლელი უნდა მოკვდეს, მით უმეტეს, თუკი წინასწარი განზრახვით სრულიად უდანაშაულო ადამიანებს კლავს, — ამბობს ტრამპი.

რესპუბლიკური პარტიის სხვა წევრები ამას არ ეთანხმებიან. ისინი მიიჩნევენ, რომ საილოვს გუანტანამოს ციხეში უნდა უკრან თავი.

— მისთვის და მისთანებისთვის გუანტანამო ზედგამოჭრილია, — ამბობენ ისინი.

## მადრიდში კატალონიის მთავრობის რვა წევრი დააპატიმრეს

ესპანეთის ნაციონალურმა სასამართლო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება კატალონიის მთავრობის რვა წევრის დაპატიმრების შესახებ. მათ ბრალად ედებათ აჯანყების ორგანიზება და ესპანეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. დაკავებულებს 30 წლით პატიმრობა ემუქრებათ.

სეპარატისტების ლიდერი პუჩდემონი კი კვლავაც ბრიუსელში იმყოფება. ესპანურ გაზეთებში გამოჩნდა ფოტო, რომელზეც კაფეში მყოფი პუჩდემონია აღბეჭდილი.

— როცა მის თანამებრძოლებს აპატიმრებენ, პუჩდემონი ბელგიაში თავს არხეინად გრძნობს და კაფეებში დროს ატარებს, — წერს ესპანური მედია.






## ტრამპი ჩინეთს ფხენიანზე ზეწოლის გაძლიერებას მოსთხოვს

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აპირებს, ჩინეთს ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლის გაძლიერება მოსთხოვოს. საუბარია ჩრდილოეთ კორეასთან ვაჭრობის შეზღუდვაზე. თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჩინეთი ამას არ დათანხმდება.

ჩინეთის ხელისუფლება ფრიად გაღიზიანებულია ტრამპის მუდმივი მუქარებით ჩრდილოეთ კორეის მიმართ და თვლის, რომ მუქარა სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# მანჩესტერი ლონდონში ჩადის, არსენალი — მანჩესტერში



## სტატისტიკა, ფსონები

მომავალ უქმეებზე ინგლისში სუპერტურია: ლონდონში ჩელსი დაუხვდება მანჩესტერს, ხოლო მანჩესტერში სიტი — ლონდონის არსენალს.

სუპერმატჩია გერმანიაშიც — დორტმუნდი საკუთარ მოედანზე მიუნხენის ბაიერნს მიიღებს.

გარდა იმისა, რომ ფავორიტთა ჯახია, ამ მატჩებს ბევრი რამის გადაწყვეტაც შეუძლიათ.

### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.11 | სტოკი-ლესტერი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 04.11 | ნიუკასლი-ბორნმუთი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 04.11 | სუონსი-ბრაიტონი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 04.11 | ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 04.11 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 5.0 | 4.2 | 1.61 |
| 05.11 | ტოტენჰემი-კრ.პალასი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 05.11 | სიტი-არსენალი | 1.44 | 4.8 | 6.5 |
| 05.11 | ჩელსი-მანჩესტერი | 2.5 | 3.1 | 3.0 |
| 05.11 | ევერტონი-უოტფორდი | 2.05 | 3.4 | 3.6 |

**სტოკი-ლესტერი**

სტოკი: ***ტრავმ***-ბრუნო მარტინს ინდი

ლესტერი: ***ტრავმ***-მატიე ჯეიმსი

**ნიუკასლი-ბორნმუთი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პოლ დამერტი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

**სუონსი-ბრაიტონი**

სუონსი: ***ტრავმ***-ვილფრედ ბონი, რენატო სანჩესი, კილი ბარტლი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

**ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ფილიპ ბილინგი, კეისი პალმერი, მაკლ ჰეფელე

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კრეიგ დაუსონი, ჯეიმს მორისონი

**ვესტ ჰემი-ლივერპული**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯეიმს კოლინზი

ლივერპული: ***ტრავმ***-ფელიპე კოუტინიუ, სადიო მანე, ადამ ლალანა

**ტოტენჰემი-კრ.პალასი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ვიქტორ ვანიამა

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ლე ჩუნგ-იუნგი, კრისტიან ბენტეკე

**სიტი-არსენალი**

სიტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი, ვინსენტ კომპანი

არსენალი: ***ტრავმ***-დავიდ ოსპინა, დენი უელბეკი, შკოდრან მუსტაფი, სანტი კაზორლა

**ჩელსი-მანჩესტერი**

ჩელსი: ***ტრავმ***-ვიქტორ მოსესი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მაიკლ კერიკი, მარუან ფელაინი, პოლ პოგბა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, მარკოს როხო

**ევერტონი-უოტფორდი**

ევერტონი: ***ტრავმ***-სიმუს კოულმენი

უოტფორდი: ***ტრავმ***-რობერტო პერეირა, ნათან ჩალობა, სებასტიან პროდი, იუნის კაბული

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 9 | 1 | 0 | 35-6 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 23-4 | 23 |
| 3.ტოტენჰემი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-7 | 20 |
| 4.ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 18-10 | 19 |
| 5.არსენალი | 10 | 6 | 1 | 3 | 19-13 | 19 |
| 6.ლივერპული | 10 | 4 | 4 | 2 | 17-16 | 16 |
| 7.ბარნლი | 10 | 4 | 4 | 2 | 9-9 | 16 |
| 8.უოტფორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-18 | 15 |
| 9.ნიუკასლი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-9 | 14 |
| 10.საუთჰემპტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 9-10 | 13 |
| 11.ლესტერი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-14 | 12 |
| 12.ბრაიტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-11 | 12 |
| 13.ჰადერსფილდი | 10 | 3 | 3 | 4 | 7-13 | 12 |
| 14.სტოკი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-20 | 11 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-13 | 10 |
| 16.ვესტ ჰემი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-19 | 9 |
| 17.სუონსი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-12 | 8 |
| 18.ევერტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-20 | 8 |
| 19.ბორნმუთი | 10 | 2 | 1 | 7 | 6-14 | 7 |
| 20.კრ.პალასი | 10 | 1 | 1 | 8 | 4-21 | 4 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.11 | ვალენსია-ლეგანესი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 04.11 | დეპორტივო-ატლეტიკო | 5.0 | 3.6 | 1.73 |
| 04.11 | ალავესი-ესპანიოლი | 2.87 | 3.0 | 2.62 |
| 04.11 | ბარსელონა-სევილია | 1.18 | 7.5 | 12.0 |
| 05.11 | ლევანტე-ხირონა | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 05.11 | სელტა-ბილბაო | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 05.11 | სოსიედადი-ეიბარი | 1.61 | 4.0 | 5.0 |
| 05.11 | ვილიარეალი-მალაგა | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 05.11 | რეალი-ლას პალმასი | 1.05 | 15.0 | 26.0 |

**ვალენსია-ლეგანესი**

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

ლეგანესი: ***ტრავმ***-ომარ რამოსი

**დეპორტივო-ატლეტიკო**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ადრიანი, რუბენი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-იანიკ კარასკო, კოკე

**ალავესი-ესპანიოლი**

ალავესი: ***ტრავმ***-ექტორი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-არავინ

**ბარსელონა-სევილია**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ანდრეს ინიესტა, ალექსის ვიდალი, ოსმან დემბელე, რაფინია, არდა თურანი, ტომას ვერმალენი

სევილია: ***ტრავმ***-ვალტერ მონტოია, დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

**ლევანტე-ხირონა**

ლევანტე: ***ტრავმ***-ნანო, ივან ლოპესი

ხირონა: ***ტრავმ***-პედრო ალკალა

**სელტა-ბილბაო**

სელტა: ***ტრავმ***-ფაკუნდო რონკალია

ბილბაო: ***ტრავმ***-მიკელ ბალენზიაგა, ოსკარ დე მარკოსი, იკერ მუნიანი

**სოსიედადი-ეიბარი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-დავიდ ზურუტუზა, იმანოლ აგირეჩე

ეიბარი: ***ტრავმ***-ივან რამისი, პედრო ლეონი

**ვილიარეალი-მალაგა**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რუბენ სემედო, ანდრეს ფერნანდესი

მალაგა: ***ტრავმ***-მიგელ ტორესი, დიეგო როლანი, ზდრავკო კუზმანოვიჩი, ფედერიკო რიკა

**რეალი-ლას პალმასი**

რეალი: ***ტრავმ***-კეილორ ნავასი, დანი კარვახალი, გარეთ ბეილი, მატეო კოვაჩიჩი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ოსმან ტანანე, ალენ ჰალილოვიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 10 | 9 | 1 | 0 | 28-3 | 28 |
| 2.ვალენსია | 10 | 7 | 3 | 0 | 27-11 | 24 |
| 3.რეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-9 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 10 | 5 | 5 | 0 | 15-6 | 20 |
| 5.სევილია | 10 | 6 | 1 | 3 | 11-9 | 19 |
| 6.ვილიარეალი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-11 | 17 |
| 7.ლეგანესი | 10 | 5 | 2 | 3 | 9-5 | 17 |
| 8.ბეტისი | 10 | 5 | 1 | 4 | 19-18 | 16 |
| 9.სოსიედადი | 10 | 4 | 2 | 4 | 21-20 | 14 |
| 10.ესპანიოლი | 10 | 3 | 4 | 3 | 9-12 | 13 |
| 11.ხეტაფე | 10 | 3 | 3 | 4 | 13-11 | 12 |
| 12.ლევანტე | 10 | 2 | 6 | 2 | 11-13 | 12 |
| 13.ხირონა | 10 | 3 | 3 | 4 | 11-15 | 12 |
| 14.სელტა | 10 | 3 | 2 | 5 | 19-16 | 11 |
| 15.ბილბაო | 10 | 3 | 2 | 5 | 10-12 | 11 |
| 16.დეპორტივო | 10 | 3 | 2 | 5 | 13-19 | 11 |
| 17.ეიბარი | 10 | 2 | 2 | 6 | 5-22 | 8 |
| 18.ლას პალმასი | 10 | 2 | 0 | 8 | 8-25 | 6 |
| 19.მალაგა | 10 | 1 | 1 | 8 | 6-21 | 4 |
| 20.ალავესი | 10 | 1 | 0 | 9 | 4-16 | 3 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.11 | გლადბახი-მაინცი | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 04.11 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 04.11 | აუგსბურგი-ლევერკუზენი | 3.4 | 3.75 | 2.0 |
| 04.11 | ლაიფციგი-ჰანოვერი | 1.44 | 4.6 | 6.5 |
| 04.11 | ფრაიბურგი-შალკე | 3.6 | 3.4 | 1.05 |
| 04.11 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.25 | 3.75 | 2.05 |
| 05.11 | კიოლნი-ჰოფენჰაიმი | 2.8 | 3.5 | 2.4 |
| 05.11 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.05 | 3.25 | 3.8 |

**გლადბახი-მაინცი**

გლადბახი: ***ტრავმ***-კრისტოფ კრამერი, ჯულიო ვილალბა, რაულ ბობადილა, ლასლო ბენეში

მაინცი: ***ტრავმ***-ლეონ ბალოგუნი, რენე ადლერი, კარიმ ონისივო

**ჰამბურგი-შტუტგარტი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ვასილი იანჯიჩიჩი, ნიკოლაი მიულერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ორელ მანგალა, ჰოლგერ ბადშტურბერი, დენის აოგო, მარცინ კამინსკი, ანასტასიოს დონისი, კრისტიან გენტნერი, მატიას ციმერმანი

**აუგსბურგი-ლევერკუზენი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-მარტინ ჰინტერეგერი, სერჟიო კორდოვა

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

**ლაიფციგი-ჰანოვერი**

ლაიფციგი: ***ტრავმ***-არავინ

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მარტინ ჰარნიკი, ფელიპე

**ფრაიბურგი-შალკე**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ფილიპ ლენარტი, ვინსენტ სიერო, მარკ-ოლივერ კემპი

შალკე: ***ტრავმ***-მატია ნასტასიჩი

**დორტმუნდი-ბაიერნი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ლუკაშ პიშჩეკი, ერიკ დარმი, სებასტიან როდე, მარკო როისი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ტომას მიულერი, ფრანკ რიბერი, მანუელ ნოიერი, ხუან ბერნატი

**კიოლნი-ჰოფენჰაიმი**

კიოლნი: ***ტრავმ***-მარკო ჰოგერი, მატიას ლემანი, კლაუდიო პიზარო, ჯონ კორდობა, მარსელ რიისე, იონას ექტორი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სერჟ გნაბრი, ერმინ ბიკაკჩიჩი, ადამ ზალაი

**ვოლფსბურგი-ჰერტა**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო

ჰერტა: ***ტრავმ***-მეტიუ ლეკიე, ვლადიმირ დარიდა, სებასტიან ლანგკამპი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 10 | 7 | 2 | 1 | 24-7 | 23 |
| 2.დორტმუნდი | 10 | 6 | 2 | 2 | 27-11 | 20 |
| 3.ლაიპციგი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-12 | 19 |
| 4.ჰანოვერი | 10 | 5 | 3 | 2 | 14-9 | 18 |
| 5.შალკე | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 6.გლადბახი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-18 | 17 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 10 | 4 | 4 | 2 | 17-14 | 16 |
| 8.ლევერკუზენი | 10 | 4 | 3 | 3 | 22-15 | 15 |
| 9.აუგსბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-10 | 15 |
| 10.აინტრახტი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-10 | 15 |
| 11.ჰერტა | 10 | 3 | 4 | 3 | 11-12 | 13 |
| 12.შტუტგარტი | 10 | 4 | 1 | 5 | 9-11 | 13 |
| 13.მაინცი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 14.ვოლფსბურგი | 10 | 1 | 7 | 2 | 10-13 | 10 |
| 15.ფრაიბურგი | 10 | 1 | 5 | 4 | 6-20 | 8 |
| 16.ჰამბურგი | 10 | 2 | 1 | 7 | 7-17 | 7 |
| 17.ვერდერი | 10 | 0 | 5 | 5 | 3-12 | 5 |
| 18.კიოლნი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-19 | 2 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.11 | ბოლონია-კროტონე | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 04.11 | ჯენოა-სამპდორია | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 05.11 | ინტერი-ტორინო | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 05.11 | ფიორენტინა-რომა | 3.0 | 3.4 | 2.3 |
| 05.11 | ლაციო-უდინეზე | 1.25 | 5.5 | 11.0 |
| 05.11 | იუვენტუსი-ბენევენტო | 1.05 | 13.0 | 34.0 |
| 05.11 | კიევო-ნაპოლი | 8.0 | 4.8 | 1.36 |
| 05.11 | კალიარი-ვერონა | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 05.11 | ატალანტა-სპალი | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 05.11 | სასუოლო-მილანი | 3.25 | 3.5 | 2.15 |

**ბოლონია-კროტონე**

ბოლონია: ***ტრავმ***-ანტონიო მირანტე, ვასილის ტოროსიდისი, როდრიგო პალასიო, საფირ ტაიდერი, ერიკ პულგარი, იბრაჰიმ მბაიე

კროტონე: ***ტრავმ***-ოლივერ კრაგლი, მარკო ტუმინელო, ალექსანდარ ტონევი

**ჯენოა-სამპდორია**

ჯენოა: ***ტრავმ***-ედი სალსედო, ისააკ კოფი, რიკარდო ცენტურიონი, ნიკოლას სპოლი

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

**ინტერი-ტორინო**

ინტერი: ***ტრავმ***-მირანდა

ტორინო: ***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი, ლიანკო, ჯოელ ობი

**ფიორენტინა-რომა**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-სირილ ტერო, რიკარდო საპორანა, რაფიკ ზეჰნინი

რომა: ***ტრავმ***-კოსტას მანოლასი

**ლაციო-უდინეზე**

ლაციო: ***ტრავმ***-მაურისიო, სიმონე პალომბო, დუსან ბასტა

უდინეზე: ***ტრავმ***-არავინ

**იუვენტუსი-ბენევენტო**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მეჰდი ბენატია, მარკო პიაცა

ბენევენტო: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა

**კიევო-ნაპოლი**

კიევო: ***ტრავმ***-მეჰდი ლერისი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ტონელი, არკადიუშ მილიკი

**კალიარი-ვერონა**

კალიარი: ***ტრავმ***-ფაბიო პისაკანე, ნიკოლო ბარელა, ალესანდრო დეიოლა, ალესიო კრანო, ანდრეა კოსუ

ვერონა: ***ტრავმ***-მარსელ ბუჩელი, მარტინ კასერესი, ალექს ფერარი, მატია ვალოტი, მოსე კეინი

**ატალანტა-სპალი**

ატალანტა: ***ტრავმ***-ალესანდრო ბასტონი

სპალი: ***ტრავმ***-საულ ვაისანენი, ფედერიკო ვივიანი, სერჟიო ფლოკარი, ალბერტო გრასი

**სასუოლო-მილანი**

სასუოლო: ***ტრავმ***-დომენიკო ბერარდი, ალფრედ დუნკანი, ტიმო ლეხერტი

მილანი: ***ტრავმ***-დავიდე კალაბრია, ანდრეა კონტი, ჯაკომო ბონავენტურა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 11 | 10 | 1 | 0 | 32-8 | 31 |
| 2.ინტერი | 11 | 9 | 2 | 0 | 22-8 | 29 |
| 3.იუვენტუსი | 11 | 9 | 1 | 1 | 33-10 | 28 |
| 4.ლაციო | 11 | 9 | 1 | 1 | 31-12 | 28 |
| 5.რომა | 10 | 8 | 0 | 2 | 17-5 | 24 |
| 6.სამპდორია | 10 | 6 | 2 | 2 | 22-13 | 20 |
| 7.ფიორენტინა | 11 | 5 | 1 | 5 | 19-13 | 16 |
| 8.მილანი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-16 | 16 |
| 9.ტორინო | 11 | 4 | 4 | 3 | 16-18 | 16 |
| 10.ატალანტა | 11 | 4 | 3 | 4 | 18-15 | 15 |
| 11.კიევო | 11 | 4 | 3 | 4 | 14-19 | 15 |
| 12.ბოლონია | 11 | 4 | 2 | 5 | 9-12 | 14 |
| 13.უდინეზე | 11 | 4 | 0 | 7 | 18-22 | 12 |
| 14.კალიარი | 11 | 3 | 0 | 8 | 9-20 | 9 |
| 15.კროტონე | 11 | 2 | 3 | 6 | 8-21 | 9 |
| 16.სპალი | 11 | 2 | 2 | 7 | 9-19 | 8 |
| 17.სასუოლო | 11 | 2 | 2 | 7 | 6-19 | 8 |
| 18.ვერონა | 11 | 1 | 3 | 7 | 7-24 | 6 |
| 19.ჯენოა | 11 | 1 | 3 | 7 | 10-17 | 6 |
| 20.ბენევენტო | 11 | 0 | 0 | 11 | 4-29 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.11 | ანჟე-პსჟ | 12.0 | 7.0 | 1.2 |
| 04.11 | ნანტი-ტულუზა | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 04.11 | მონპელიე-ამიენი | 1.8 | 3.3 | 5.0 |
| 04.11 | ტრუა-სტრასბური | 2.7 | 3.3 | 2.6 |
| 05.11 | ნიცა-დიჟონი | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 05.11 | მარსელი-კაენი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 05.11 | მეცი-ლილი | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 05.11 | სტ.ეტიენი-ლიონი | 3.75 | 3.75 | 1.91 |

**ანჟე-პსჟ**

ანჟე: ***ტრავმ***-ალექსანდერ ლეტელიე

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო მოტა

**ნანტი-ტულუზა**

ნანტი: ***ტრავმ***-კალიფა კულიბალი

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯიმი დურმაზი

**მონპელიე-ამიენი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟერომ როსილენი

ამიენი: ***ტრავმ***-გუსუმა ფოფანა

**ტრუა-სტრასბური**

ტრუა: ***ტრავმ***-სტეფან დარბიონი, ბენჯამინ ნივე

სტრასბური: ***ტრავმ***-პაბლო მარტინესი, აბდუ მანანე, ბენჯამინ კორნე

**ნიცა-დიჟონი**

ნიცა: ***ტრავმ***-იგნატიუს განაგო, ჟან მიშელ სერი

დიჟონი: ***ტრავმ***-ნაიმ სტილი, ვესლი საიდი, ჯულიო ტავარეში, ვესლი ლაუტოა

**მარსელი-კაენი**

მარსელი: ***ტრავმ***-არავინ

კაენი: ***ტრავმ***-ვინსენტ ბესო, ალექსანდერ ჯიკუ

**მეცი-ლილი**

მეცი: ***ტრავმ***-მეტიუ უდოლი, მილან ბიშევაჩი, ჟან ჟოფრე, აბლი იალოუ

ლილი: ***ტრავმ***-ჰამზა მენდილი

**სტ.ეტიენი-ლიონი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლოის დიონი, პიერ გაბრიელი, ფლორენტინ პოგბა

ლიონი: ***ტრავმ***-კლემენტ გრანიე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 9 | 2 | 0 | 34-8 | 29 |
| 2.მონაკო | 11 | 8 | 1 | 2 | 28-12 | 25 |
| 3.ლიონი | 11 | 6 | 4 | 1 | 27-15 | 22 |
| 4.მარსელი | 11 | 6 | 3 | 2 | 21-17 | 21 |
| 5.ნანტი | 11 | 6 | 2 | 3 | 9-8 | 20 |
| 6.სტ.ეტიენი | 11 | 5 | 3 | 3 | 13-10 | 18 |
| 7.კაენი | 11 | 6 | 0 | 5 | 8-8 | 18 |
| 8.ბორდო | 11 | 4 | 4 | 3 | 16-17 | 16 |
| 9.მონპელიე | 11 | 4 | 3 | 4 | 8-7 | 15 |
| 10.ტულუზა | 11 | 4 | 3 | 4 | 11-15 | 15 |
| 11.გენგამი | 11 | 4 | 2 | 5 | 13-15 | 14 |
| 12.ანჟე | 11 | 2 | 7 | 2 | 16-14 | 13 |
| 13.რენი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-15 | 12 |
| 14.დიჟონი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-20 | 12 |
| 15.ტრუა | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 16.ამიენი | 10 | 3 | 1 | 6 | 6-12 | 10 |
| 17.ნიცა | 11 | 3 | 1 | 7 | 13-19 | 10 |
| 18.სტრასბური | 11 | 2 | 4 | 5 | 13-20 | 10 |
| 19.ლილი | 10 | 1 | 3 | 6 | 6-15 | 6 |
| 20.მეცი | 11 | 1 | 0 | 10 | 5-21 | 3 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ჯენიფერ კაპრიატი — სკანდალური პირველი ჩოგანი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, „დიდი სლემის“ ტურნირების სამგზის ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატი ბევრმა იცის. თუმცა, საუკეთესო ჩოგბურთელობასთან ერთად, ჯენიფერს სკანდალური გამოხტომებიც ბლომად ჰქონდა.

ჯენიფერი 13 წლის ასაკში ამერიკულ ჟურნალ სპორტ ილუსტრეიდის გარეკანზე მოხვდა, 14 წლისამ როლან გაროსის ნახევარფინალამდე მიაღწია და მსოფლიოს რეიტინგის ტოპ-ათეულში შევიდა, 16 წლის ასაკში კი ბარსელონაში ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა... შემდეგ კი...

